# საერთო გაზეთი

№14 (564) • 6 მაისი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

# დიდი ღალატის ანატომია

## სპეციალური გამოშვება





ქვეყნის გამყიდველების, მკვლელების, ბანდიტების, ყაჩაღების, სადისტების, მანიაკების შესახებ





## ქართული ნიურნბერგის პროცესი უნდა შედგეს!















# გვახსოვდეს: სანამ არ გასამართლდება 21-ე საუკუნის საქართველოს უდიდესი სირცხვილი – ქართული ფაშიზმი, ამ ქვეყანას მშვიდობა არ ეღირსება

უკრაინის ვიცე-სპიკერად სააკაშვილის კანდიდატურის დასახელებამ, „ნაცმოძრაობის“ გამოკლებით, მთელი საქართველო აღაშფოთა და ეს აღშფოთება უკრაინის ხელისუფლების და კერძოდ, ვლადიმერ ზელენსკის მისამართით გაგზავნილ არაერთ წერილში სათანადოდ აისახა, თუმცა რა შეიძლება გაიგოს მისმა აღმატებულებამ ვლადიმერ ზელენსკიმ, უკრაინის რადამ და უკრაინელმა ხალხმა ამ წერილებიდან?

სიმართლე გითხრათ, ბევრი არაფერი!

ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ ძალზე მწირი ინფორმაცია იმ დანაშაულობების შესახებ, რომლებიც პრეზიდენტ სააკაშვილს თავისი ცხრაწლიანი პრეზიდენტობის განმავლობაში აქვს ჩადენილი.

ცხადია, უმძიმესი დანაშაულია ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტიც, ბიუჯეტიდან 8 მილიონის არამიზნობრივად გახარჯვაც, მაგრამ ამ წერილებში არაფერია ნათქვამი იმ შემზარავ, კოშმარულ დანაშაულებებზე, რომლებიც სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს იქნა ჩადენილი.

რვა მილიონიც, რა თქმა უნდა, ფულია, მაგრამ რვა მილიონი ვის დაჰკარგვია, როცა ძალიან სერიოზული და კვალიფიცირებული ექსპერტების მტკიცებით, სააკაშვილს და მის ბანდას საქართველოდან 16 მილიარდი აქვს გატანილი.

ის კი არა, მისმა აღმატებულებამ, ზელენსკიმ, შეიძლება ისიც კი იფიქროს, რა მოკრძალებული და მორიდებული კაცი ყოფილა ეს სააკაშვილი — მხოლოდ რვა მილიონი მოუპარავს, ეს იმ დროს, როცა ქალაქის მერმა უგულავამ 48 მილიონი შეიტყაპუნაო.

იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ეს რვა მილიონი, საგამოძიებო მასალების მიხედვით, სააკაშვილმა გარდერობის შესავსებად და გასაახლებლად, აგრეთვე, სხვადასხვა მომსახურების დასაფარად დახარჯა, შეიძლება ზელენსკიმ იეჭვოს, არა აქვს ქართულ მხარეს სერიოზული სამხილები სააკაშვილის წინააღმდეგ და ამ რეფორმატორ და პატიოსან კაცს ტყუილუბრალოდ ჩაგრავენო.

ვალერი გელაშვილის და კობა დავითაშვილის სასიკვდილოდ გამეტებაზე, ცხადია, უნდა ვილაპარაკოთ, მაგრამ რატომ არაფერს არ ვამბობთ, იმ 150 ადამიანზე, რომლებიც სააკაშვილის „მეფობის“ დროს ქუჩაში დახვრიტეს?

150 ადამიანის დახვრეტა ნაკლები დანაშაულია, ვიდრე გელაშვილის და დავითაშვილის ცემა?

რატომ ვდუმვართ და რატომ ვუმალავთ ბატონ ზელენსკის — ამ შემზარავ ამბებს — ზელენსკის ნერვებს ვუფრთხილდებით თუ სააკაშვილის სახელს?

ან რატომ არ უნდა იცოდეს ბატონმა ზელენსკიმ და უკრაინულმა რადამ, რომ საქართველოს, ამ მცირერიცხოვან, პატარა ქვეყანას „ნაცმოძრაობის“ დროს 25 000 პატიმარი ჰყავდა და 300 000 პრობაციონერი.

იქნებ პრეზიდენტი სააკაშვილი არაფერ შუაში არ იყო ამ ამბებთან დაკავშირებით, ისე, როგორც არაფერ შუაში არ იყო თურმე სააკაშვილის მარჯვენა ხელი, „ნაც. მოძრაობის“ ხერხემლად წოდებული ვანო მერაბიშვილი, რომელიც ამასწინათ უტიფრად ამტკიცებდა, რომ არაფერი ახსოვს, არაფერი იცის.

სააკაშვილს მერაბიშვილისგან განსხვავებით, რაღაც-რაღაცები ახსოვს, მაგრამ მისი და მისი გუნდის მიერ ჩადენილ უამრავ უმძიმეს დანაშაულს, რომელსაც ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფო დანაშაულის კვალიფიკაციას დანაშაულად კი არა უნებლიედ დაშვებულ შეცდომებად მიიჩნევს.

ყველა იმ უბედურებაზე, ყველა იმ კოშმარულ დანაშაულზე, რასაც „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლება ჩადიოდა, უდავოა, რომ მთავარი პასუხისმგებელი პირი საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია, რომელმაც 21-ე საუკუნის დასაწყისის საქართველოში წმინდაწყლის ფაშისტურ-კრიმინალური რეჟიმი ჩამოაყალიბა, რომლის დროსაც ადამიანების უკვალოდ გაქრობა, ადამიანების წამება ციხეებში და წამებით მოკვდინება, მოქალაქეებისთვის კერძო საკუთრების წართმევა და მითვისება, ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა, კანონის და სამართლის ფეხქვეშ გათელვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

სააკაშვილმა არა მარტო უზარმაზარი მატერიალური ზარალი მიაყენა ქვეყანას, არამედ მატერიალურ ზარალზე უფრო უარესი ზიანი დაგვატეხა თავს — მან გარყვნა და გახრწნა საზოგადოების ერთი ნაწილი, კრიმინალებად და დამნაშავეებად აქცია ადამიანები, რომლებიც რომ არა სააკაშვილი, სხვა დროს და სხვა გარემოებაში, შეიძლებოდა ჩვეულებრივი, კანონმორჩილი მოქალაქეები ყოფილიყვნენ.

მორალური პარტახის ამ ზნეობრივი აპოკალიფსის კვალი და დაღი დღემდე ამჩნევია ჩვენი საზოგადოების სულსა და გონებას.

სააკაშვილმა, თავის თანამზრახველებთან ერთად, საკუთარი სამშობლო ჩადო ფსონად დიდ რუსულ თამაშში და მისი ტერიტორიის ოცი პროცენტი წინასწარ განზრახვით წააგო.

სააკაშვილი სამშობლოს მოღალატე და სამხედრო დამნაშავეა, თუმცა არც ამის შესახებ, არც ზემოთმოყვანილი შემაძრწუნებელი ფაქტების შესახებ აუმსჯელია ქართულ მართლმსაჯულებას.

დავითაშვილის ჩალურჯებული უპეების, გელაშვილის ჩალეწილი ყვრიმალების და 8 მილიონის გაფლანგვაზე საუბრის იქით საქმე არ მიდის.

რვა წელი გავიდა, რაც „ნაცმოძრაობა“ და სააკაშვილი ხელისუფლებაში არ არიან, მაგრამ ამ რვა წლის განმავლობაში ვერა და ვერ მოხერხდა სრულფასოვანი, სრულყოფილი, ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიება ჩატარებულიყო მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის მიერ ჩადენილი უამრავი შემზარავი და შემაძრწუნებელი დანაშაულობების შესახებ და როგორც ქართული საზოგადოებისთვის, ისე დანარჩენი მსოფლიოსთვის ეჩვენებინა ამ მკვლელების, ბანდიტების, ყაჩაღების, ქვეყნის მოღალატეებისა და გამყიდველების ნამდვილი სახე.

ამ ერთიანი, ერთი საერთო ჯაჭვით ერთმანეთზე გადაბმული სისტემური დანაშაულობების პანორამული სურათიდან ალაგ-ალაგ, ფრაგმენტულად ამოგლეჯილი ცალკეული დეტალები და ეპიზოდები, ცხადია, სრულ წარმოდგენას ვერ იძლევა სააკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ სისხლიანი მმართველობის ცხრაწლიან რეჟიმზე, რაც მათ სპეკულაციებისა და უტიფარი თავის მართლების განუსაზღვრელ შესაძლებლობებს უტოვებს.

ახლაც ასე მოხდა — წაიკითხეთ თალაკვაძისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა წერილების საპირწონედ უკრაინაში გაგზავნილი გაერთიანებული ოპოზიციის მიმართვა, სადაც სააკაშვილი დემოკრატიის მებაირახტრედ და დიდ რეფორმატორად არის გამოყვანილი, რომელსაც პოლიტიკური ბოღმის და შურის გამო „ქართული ოცნება“ ცილს სწამებს და ათასგვარ ჭორებს უვრცელებს თურმე.

აი, ეს არის შედეგი „ნაცმოძრაობის“ მიმართ გამოჩენილი ლოიალობისა, კოჰაბიტაციური გულჩვილობისა და შემწყნარებლობისა.

„ნაცმოძრაობა“ ის ძალაა, რომელიც აბსოლუტურად დაცლილია ყოველგვარი სენტიმენტებისგან და მორალურ-ზნეობრივი ნორმებისგან.

მას არ შეუძლია დააფასოს და მადლიერებით მიიღოს დიდსულოვნება, პატიება, მიტევება.

ის ბოროტი, სასტიკი, ვერაგი და დაუნდობელი ძალაა, რომელიც ავაზაკებისგან დაკომპლექტეულ კარგად ორგანიზებულ ბანდას უფრო ჰგავს, ვიდრე პოლიტიკურ ორგანიზაციას. „ქართული ოცნება“ რვა წლის განმავლობაში მგლის თავზე სახარებას კითხულობდა, შედეგი კი ნულია — მგელი მგლად დარჩა და თუ მოახერხა, პირველი მას გამოღადრავს ყელს, ვინც თავის დროზე ქვებით და კომბლებით ჩაქოლვისგან გადაარჩინა.

როგორც ჩანს, პოლიტიკაში არ ამართლებს მოწოდება: დაე, მათ ტყვიები გვესროლონ, ჩვენ კი ყვავილები ვესროლოთ.

არ გაამართლა ამ მოწოდებამ გამსახურდიას დროს და ვერც ახლა გაამართლებს...

გაურკვეველი ფერის „ყვავილი“, სახელად კოაბიტაცია, ვერ აღმოჩნდა ის ყვავილი, რომელიც „ნაცების“ ბოროტ ვნებებე დააცხრობდა.

ერთადერთი სწორი და სახელმწიფოებრივად გამართული პოზიცია ის არის, რომ ყველას კანონის მიხედვით მოეთხოვოს პასუხი და კანონის მიხედვით მიეზღოს ის, რასაც იმსახურებს.

სანამ არ დაიწერება ასეულობით ტომისგან შემდგარი დიდი საბრალდებო დასკვნა, სადაც სააკაშვილის და ნაცების მიერ ჩადენილი უამრავი შემზარავი დანაშაული ერთად არ აიკინძება, სანამ არ გაიმართება ქართული ნიურნბერგის პროცესი და სანამ არ გასამართლდება 21-ე საუკუნის საქართველოს უდიდესი სირცხვილი — ქართული ფაშიზმი, ამ ქვეყანას მშვიდობა არ ეღირსება.

**ვახტანგ ხარჩილავა**

---

**P. S. „საერთო გაზეთის“ ეს ნომერი თითქმის მთლიანად ეძღვნება სააკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩადენილ დანაშაულებათა მხილებას.**

**დღეს ხელმეორედ გთავაზობთ ადრე დაბეჭდილ ზოგიერთ პუბლიკაციასაც, თუმცა ეს მაინც ზღვაში წვეთია, იმ ზღვა მასალიდან, რასაც „საერთო გაზეთი“ წლების განმავლობაში სისტემატურად აქვეყნებდა ნაცების „საგმირო საქმეთა“ შესახებ. ჩვენი მიზანი ერთია! კიდევ ერთხელ შევახსენოთ საზოგადოებას, რა საშიშ დამნაშავესთან გვაქვს საქმე მიხეილ საკასვილის სახით და რა ბოროტებას წარმოადგენს მისი საყრდენი ძალა – „ნაციონალური მოძრაობა“.**

**ვ.ხ.**

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# დიდი ღალატის ანატომია



**ვახტანგ ხარჩილავა**

***ამ წერილს ვუძღვნი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ნათელ ხსოვნას.***

დავით სერგეენკოს განცხადებას მცოცავი ოკუპაციის შესახებ დიდი გნიასი და აჟიოტაჟი მოჰყვა „ნაციონალების“ მხრიდან, რომლებიც ბოლო ხანებში განსაკუთრებული ენთუზიაზმით აწვებიან პატრიოტობას და საქმეს ისე წარმოაჩენენ, თითქოს ქვეყნის გულდათუთქული ჭირისუფლები და პატრონები მხოლოდ ისინი არიან, ხოლო დანარჩენი ყარტაყურტა ქართველები შორიდან მშვიდად უყურებენ ქვეყანაში მიმდინარე საგანგაშო პროცესებს.

კი, მაგრამ, რა თქვა დავით სერგეენკომ ისეთი, რაც აქამდე არ თქმულა?

განა ვინმესთვის აქამდე უცნობი იყო, რომ რაც დღეს ხდება ცხინვალის რეგიონში თუ აფხაზეთში, პირდაპირი შედეგია იმ შეცდომებისა თუ გააზრებული და მიზანმიმართული დანაშაულებრივი ქმედებებისა, რაც წინა ხელისუფლებამ, ანუ „ნაცმოძრაობამ“ და მისმა ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა ჩაიდინა!

სრულიად გასაგები მიზეზების გამო, როცა სეპარატისტული რეჟიმების მიერ ტერიტორიების მიტაცებაზე, შემდგომ კი ამ ტერიტორიების დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოებად გამოცხადებაზე ვსაუბრობთ, მთავარ აქცენტებს 2008 წლის აგვისტოს ომზე ვაკეთებთ, თუმცა ყურადღების მიღმა გვრჩება ომის წინა პერიოდი და ის მოვლენები, რომლებიც ამ ომს უძღვოდა წინ.

როცა ომის წინა პერიოდის ქრონიკას თანმიმდევრულად აღვადგენთ და გავაანალიზებთ, შეიძლება გამაოგნებელ, შოკისმომგვრელ დასკვნამდე მივიდეთ – საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლება, სააკაშვილის ხელმძღვანელობით, მიზანმიმართულად ქმნიდა ისეთ იურიდიულ-სამართლებრივ დოკუმენტაციას, რომელიც მომავალში აუცილებლად შეუწყობდა ხელს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობას.

ძალიან ცუდ რაღაცას ვამბობ, ხომ?

დიახ, დიახ, ძალიან ცუდ რაღაცას ვამბობ, თუმცა ვამბობ ფაქტებით, დოკუმენტებით, სათანადო ხელმოწერებით, სათანადო საკანონმდებლო პროცედურებით და აქტებით გამაგრებულ-განმტკიცებულ ფაქტს, რომელიც არავისთვის არ წარმოადგენს დიდ საიდუმლოს.

სააკაშვილი და „ნაცმოძრაობის“ სხვა ლიდერები ხშირად იმეორებენ, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა პროვოკაციაზე წამოაგო საქართველოს ხელისუფლება და აიძულა ის ომში ჩართულიყო, მაგრამ იმ ნაბიჯებს თუ გავიხსენებთ, რასაც საქართველოს ხელისუფლება ომის დაწყებამდე დაახლოებით წელიწადნახევრის განმავლობაში დგამდა, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს პროვოკაცია გაცილებით ადრე დაიგეგმა და მის განხორციელებასა და აღსრულებაში მთავარი როლი სწორედ „ნაცმოძრაობამ“, ანუ საქართველოს ხელისუფლებამ ითამაშა.

●

**2006 წლის შემოდგომიდან საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ცდილობს კოდორის ხეობას სახელი შეეცვალოს და ეწოდოს ზემო აფხაზეთი, ხოლო ე.წ. სამხრეთ ოსეთს, ასევე ხაზგასმულად, ყოველგვარი ეგრეთ წოდებულის გარეშე, სისტემატურად მოიხსენიებს სამხრეთ ოსეთად,** მიუხედავად იმისა, რომ ზვიად გამსახურდიას დროინდელი უზენაესი საბჭოს მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი უკვე 17 წელია გაუქმებულია და ის, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, ქართულ სახელმწიფოში საერთოდ არ არსებობს.




მიხეილ სააკაშვილმა თითქოს არც იცის ეს ამბავი და წარამარა იმეორებს სახელწოდებას – **სამხრეთ ოსეთი**.

პარალელურად გრძელდება კოდორის (დალის ხეობის) ზემო აფხაზეთად მოხსენიება, თუმცა ამ ხეობას საქართველოს ისტორიის არც ერთ მონაკვეთში ზემო აფხაზეთი არ რქმევია.

მიხეილ სააკაშვილი ყოველგვარი ახსნა-განმარტების, ყოველგვარი დასაბუთების და მოტივაციის გარეშე ჯიუტად აგრძელებს სამაჩაბლოს სამხრეთ ოსეთად და კოდორის ხეობის ზემო აფხაზეთად სახელწოდებების დასახელებას, რითაც მიზანმიმართულად ცდილობს, საზოგადოებას ყური გაუხედნოს ამ ახალი ტერმინებით.

არსებობს უამრავი საარქივო მასალა – მიხეილ სააკაშვილის სატელევიზიო გამოსვლები, ინტერვიუები, სააკაშვილის განცხადებები სამთავრობო სხდომებზე და ასე შემდეგ, რომლებშიც დოკუმენტურად არის ასახული და დაფიქსირებული ის, რაც ზემოთ ვთქვით.

ცხადი იყო, სააკაშვილს რაღაც სერიოზული ჩანაფიქრი ჰქონდა, მაგრამ არც მას აუხსნია და არც სხვები ჩაძიებიან, რას ემსახურებოდა ეს ჩანაფიქრი, რა იყო ამ ჩანაფიქრის მთავარი დედააზრი და რით იყო ის სასარგებლო და აუცილებელი ქართული სახელმწიფოსთვის?!

ამ კითხვებზე პასუხი, რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ ეს, მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაიცა, როცა „ნაციონალების“ მიერ წინასწარ მომზადებული იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე, ფაქტობრივად, მოიხსნა ყველანაირი სამართლებრივი ბარიერი, რაც მანამდე აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობას ხელს უშლიდა.




●

ახალგორთან დაკავშირებით კიდევ ერთ, უაღრესად საინტერესო და საყურადღებო დეტალს გაგახსენებთ.

**გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არსებობდა, ხოლო საქართველოს ცეკას მდივანი გივი გუმბარიძე იყო, ეროვნული მოძრაობისა და ახალგორის რაიონის ქართველობის დაჟინებული მოთხოვნით**



**ახალგორი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს გამოეყო, ანუ ახალგორი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს უკვე აღარ შედიოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რომელიც, როგორც ზემოთ ვთქვით, მოგვიანებით საერთოდ გააუქმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ.**

აი, ასეთი ისტორიის მქონე რეგიონი, ახალგორი, თავის ქსნის ხეობიანად, რომელიც მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული, „ნაციონალურმა მოძრაობამ“, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით და საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერით, აიღო და მათ მიერვე შეკოწიწებული სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში წიხლებით შეტენა, პრეზიდენტად კი ათას ავტომატზე გადამხტარი დიმა დაასვა თავზე!

შემთხვევით, არა საბჭოთა კავშირის დროინდელ, არამედ „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლების და მისი ლიდერის სააკაშვილის მიერ „დახატულ“ ახალ რუკას ხომ არ გვიფრიალებენ რუსები ცხვირწინ, სადაც ნათლად და მკვეთრად ჩანს ის საზღვრები, რომლითაც ე.წ. სამხრეთ ოსეთი ნამდვილ და რეალურ სამხრეთ ოსეთად აქცია საქართველოს ხელისუფლებამ.

**ერთმა ფრანგმა დიპლომატმა ახალგორის მოსახლეობას ასეთი რამ უთხრა: ევროპა და ევროკავშირი რით და როგორ უნდა დაგეხმარონ, როცა თქვენს ხელისუფლებას დოკუმენტურად, იურიდიული ნორმების სრული დაცვით უღიარებია სამხრეთ ოსეთის არსებობაო?!**

ტერმინ სამხრეთ ოსეთის ოფიციალურად დაკანონების პარალელურად იმაზეც იზრუნეს, რომ წილკნის ეპარქია ცხინვალის ეპარქიას გადასცემოდა.

**თითქმის იდენტური მეთოდებით იმუშავა ნაცების ხელისუფლებამ კოდორის ხეობასთან მიმართებაში – კოდორის ხეობას სახელი გადაარქვა, მას ზემო აფხაზეთი უწოდა, ადგილობრივი მოსახლეობა კი, რომელიც წლების განმავლობაში გმირულად იცავდა ხეობას, განაიარაღა, რის შემდეგაც 2008 წლის აგვისტოში ამ აუღებელი, სტრატეგიულად ურთულესი ხეობის აღება მტერმა თითქმის უბრძოლველად, ყოველგვარი დანაკარგების გარეშე შეძლეს.**

**სანამ 2008 წლის აგვისტოს ომი მოხდებო-**

4–5 გვ. →

# დიდი ღალატის ანატომია

← 3 გვ.

**და, „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებამ, აბსოლუტურად გაუგებარი და ლოგიკას მოკლებული ქმედებებით, პოზიციები განუმტკიცა არა ქართულ სახელმწიფოს, არამედ აფხაზ და ოს სეპარატისტებს.**

იქმნება შთაბეჭდილება, რომ „ნაცმოძრაობა“ სეპარატისტული რეგიონებისთვის წინასწარ ქმნის ისეთ დოკუმენტებს, რომლებიც მათ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას გააადვილებს.

საქართველოს ხელისუფლების თავდადებული მეცადინეობით, სამხრეთ ოსეთი ქაღალდზე უკვე არსებობს, ზედ ქართული სახელმწიფოს ბეჭედი აქვს დასმული და პრეზიდენტის ხელმოწერაც ამშვენებს, კოდორის ხეობას უკვე ზემო აფხაზეთი ჰქვია და ესეც სათანადოდ არის დამოწმებულ-დაკანონებული, ახლა საჭიროა ერთი პატარა, ლოკალური ხასიათის ომი, რომ ეს ტერიტორიები მოწინააღმდეგე მხარემ გადაიბაროს და გადაიფორმოს.



დოკუმენტები უკვე მზად არის. ახლა ომი უნდა მოხდეს!..

და ეს ომიც მოხდება...

●

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთვის, თითქმის 25 წელიწადია, მთავარი ამოცანა, მთავარი დევიზი, მთავარი მიზანი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა, იმ დოკუმენტებით, რომლებიც „ნაცმოძრაობამ“ შექმნა, ტერიტორიული მთლიანობა აღიდგინა არა საქართველომ, არამედ ტერიტორიული მთლიანობა თავიანთი ყოფილი ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში აღიდგინეს სეპარატისტულმა რეგიონებმა – აფხაზეთმა და ე.წ. სამხრეთ ოსეთმა!

არ არის ეს გამაოგნებელი პარადოქსი, როცა „ნაცმოძრაობა“, გარე ოკუპანტის გამოჩენამდე, თვითონ მოგვევლინა შიდა ოკუპანტის როლში და შიდა ქართლი სამხრეთ ოსეთად გამოაცხადა, კოდორის ხეობა – ზემო აფხაზეთად და ეს ყველაფერი ოფიციალურად გააფორმა.



**„ნაციონალებო“, სახელშეცვლილო „ნაციონალებო“, „ნაციონალების“ ბიძაშვილ-მამიდაშვილო პარტიებო, დღეს მავთულხლართების გასწვრივ რომ დაბორიალობთ და პატრიოტობანას თამაშობთ, სად იყავით მაშინ და რატომ არ იღებდით ხმას, როცა აგვისტოს ომამდე გაცილებით ადრე „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლება და მისი ბელადი ქაღალდზე ავლებდა საზღვრების აღმნიშვნელ ხაზებს, რომლებსაც მოგვიანებით აუცილებლად გამოჰყვებოდა ნამდვილი საზღვარი – თავისი მავთულხლართებით, ბანერებით, მესაზღვრეებით, სამხედრო ტექნიკით.**

„ნაციონალებო“, სახელშეცვლილო „ნაციონალებო“, „ნაციონალების“ ბიძაშვილ-მამიდაშვილო პარტიებო, გიფიქრიათ თქვენ ოდესმე, რატომ არ აღიარა რუსეთმა აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად 2008 წლის აგვისტოს ომამდე და რატომ აღიარა მაინცდამაინც ამ ომის შემდეგ?

რატომ და იმიტომ, რომ ამ ომამდე საქართველო აკონტროლებდა ამ სეპარატისტული რეგიონების ტერიტორიების ნაწილს, ომის შემდეგ კი ამ რეგიონებმა აღიდგინეს ტერიტორიული მთლიანობა თავიანთი ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში, ამ საზღვრების დაფიქსირებასა და დაკანონებაში კი, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს ეს, მათ საქართველოს ხელისუფლება ჯერ იურიდიული დოკუმენტაციის მომზადებით, მოგვიანებით კი დამარცხებისთვის განწირულ ომში ჩაბმით დაეხმარა, რომლის შედეგებიც ნებისმიერმა ოდნავ გონიერმა ადამიანმა წინასწარ იცოდა, ოღონდ, რატომღაც არ იცოდა საქართველოს ხელისუფლებამ, რომელიც დღემდე თავს იმით იმართლებს, რომ, თურმე, პროვოკაციაზე წამოაგეს და აიძულეს საბრძოლო მოქმედებებში ჩართულიყო.

●

აგვისტოს ომის დამთავრების შემდეგ გავრცელდა ხმები, თითქოს სააკაშვილსა და ცხინვალის რეგიონში მდგარი რუსი სამშვიდობოების ხელმძღვანელობას შორის სამხედრო კონფლიქტამდე ცოტა ხნით ადრე შედგა ფარული გარიგება, რომლის მიხედვითაც, სამშვიდობოები გაიწეოდნენ და ქართულ ჯარს საშუალებას მისცემდნენ ცხინვალში შესულიყო, რის შემდეგაც ქართული ჯარი ადვილად გადაკეტავდა როკის გვირაბს, დაიკავებდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებს და ობიექტებს, გადაკეტავდა გზებს და მთელ რეგიონში კონსტიტუციურ წესრიგს აღადგენდა.

იმასაც ამბობდნენ, რომ ამ გარიგებაში ქართულმა მხარემ რუს სამშვიდობოებს ძალზე სერიოზული თანხა გადაუხადა.

სააკაშვილი და მისი ტვინით გაპენტილი „სამხედრო სტრატეგოსები“ სამოქალაქო სექტორი-







პარლამენტის მიერ დამოწმებულ-დაკანონებული დოკუმენტების სახით რომ დაულაგეთ წინ?

რა მნიშვნელობა აქვს, რატომ გააკეთეთ ეს – სიბრიყვის გამო, პარანოიკული ხილვების მოძალების გამო, დიდი ფულის გამო, თუ იმის გამო, რომ თქვენი სულმდაბლური და მოღალატური ბუნების წყალობით ჩუმად და მალულად მუდამ იმათ ემსახურებოდით, ვისაც ვითომ ებრძოდით?

**რაც თქვენ გააკეთეთ, „ნაციონალებო“, სამშობლოს ღალატია ეს და, წესით და რიგით, ბევრი თქვენგანი, თქვენი ბელადის მეთაურობით, ზუსტად ამ ბრდალდებით უნდა იხდიდეს სასჯელს, თქვენ კი კვლავ პარლამენტში ზიხართ, სახელმწიფო სტრუქტუ-**



დან – ბოკერიები, ადეიშვილები, უგულავები, თარგამაძეები, მერაბიშვილები, იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი ამ „გენიალური“ გეგმის განხორციელებაში, რომ **გორში წინასწარ ჰქონდათ დასაწყობებული დიდძალი სურსათ-სანოვაგე, დროშები, ალმები, ტრანსპარანტები, ფერადი ბუშტები – გამარჯვების შემდეგ ცხინვალში გრანდიოზული ზეიმი უნდა გამართულიყო ძლევამოსილი მთავარსარდლის, საქართველოს განმათავისუფლებელი გმირის მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით.**

რუსმა სამშვიდობოებმა პირობა შეასრულეს – ცხინვალი დატოვეს, რის შემდეგაც ქართულმა ჯარმა უბრძოლველად დაიკავა ქალაქი, რომელიც თითქმის ცარიელი იყო – როგორც ჩანს, ვიღაცამ გააფრთხილა მოსახლეობა, რომ რაღაც დიდი ავანტურა მზადდებოდა და მოქალაქეები მოსალოდნელ უბედურებას დროულად გაერიდნენ.

ოსები უკმაყოფილებას არ მალავდნენ – ისინი თვლიდნენ, რომ რუსებმა უღალატეს და მარტო შეატოვეს შურისძიებისთვის შემართულ ქართველებს.

ქართული ჯარი ცხინვალში შევიდა, თუმცა ცოტა ხანში მოვლენები ტრაგიკულად განვითარდა – სულ მალე რუსული სამხედრო შენაერთები გამოჩნდნენ და სადღაც დაკარგული რუსი სამშვიდობოებიც უკან შემოტრიალდნენ.

ქართული ჯარი, ფაქტობრივად, ხაფანგში მოექცა...

აი, ამ ამბავს ხომ არ გულისხმობს ბატონი სააკაშვილი, როცა პროვოკაციაზე წამოგებაზე საუბრობს?

**როგორი კრეტინი, როგორი იდიოტი და სულელი უნდა იყო, როგორ არ უნდა გიყვარდეს და იმ დონეზე როგორ უნდა გეკიდოს ფეხებზე ქვეყანა, მსგავს იაფფასიან ავანტურაში გააყოფინო თავი და იმაზე არ იფიქრო, რას რა შეიძლება მოჰყვეს?**

როგორც ამბობენ, სააკაშვილი მარტო არ მოქმედებდა, ეს ყველაფერი სახელისუფლო გუნდის „ვერხუშკასთან“ იყო შეთანხმებული, ანუ მხოლოდ ერთ კრეტინს და იდიოტს კი არ მიუღია ეს გადაწყვეტილება, კრეტინების და იდიოტების მთელმა გუნდმა მიიღო.

ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც დღეს ნიანგის ცრემლებს აღვარღვარებენ აგვისტოს ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების საფლავებზე და მრისხანედ შემართული მუშტებით ოკუპაციას აპროტესტებენ.

კი, მაგრამ, თქვენ თვითონ არ ხართ ამ ოკუპაციის თანაავტორები და ოკუპანტების ბიზნეს-პარტნიორები?

თქვენ არ ხართ ის ადამიანები, რომლებმაც აგვისტოს ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე ახალი „სამხრეთ ოსეთი“ რომ შექმენით, შიგ ახალგორი და ქართველებით დასახლებული ქართული სოფლები რომ შეტენეთ, კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი დაარქვით, ყველაფერი ეს იურიდიულად და სამართლებრივად რომ გააფორმეთ და ოს და აფხაზ სეპარატისტებს საქართველოს

**რეგში მიკვრებით, ქართველ ხალხს ახალ-ახალი დაპირებებით ურეცხავთ ტვინს და, რაც მთავარია, იმდენად უტიფრები და სინდისგარეცხილები ხართ, ყოველივე იმის შემდეგ, რაც გააკეთეთ – კვლავ ხელისუფლებაში აპირებთ დაბრუნებას.**

რა იყო, კიდევ დარჩა რაიმე ამ თქვენგან გაუბედურებულ ქვეყანაში გასაფუჭებელი, გასათახსირებელი, გადასაფორმებელი და ამიტომ ცდილობთ უკან მობრუნებას?

რამდენადაც ვიცი, „ნაცმოძრაობის“ ელიტა ჯერ კიდევ 2006 წლის ბოლოს აპირებდა იგივეს გაკეთებას, რაც 2008 წლის აგვისტოში გააკეთა. ისინი მთელი სერიოზულობით ამტკიცებდნენ, რომ რუსი სამშვიდობოები, გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ, მზად იყვნენ, ცხინვალი დაეთმოთ.

მაშინ ერთი ჭკვიანი და გონიერი ადამიანის ჩარევით შესაძლებელი გახდა ამ ავანტურისტების შეჩერება და დიდი კატასტროფის თავიდან აცილება, თუმცა 2008



წელს, როცა „ნაცმოძრაობას“ ძალაუფლება უკვე თავში ჰქონდა ავარდნილი და ცა ქუდად არ მიჩნდა და დედამიწა ქალამნად, მათი დაოკება ვერავინ შეძლო

●

ამ წერილს რომ ვწერდი, სულ იმაზე ვფიქრობდი, რატომ ჰგავს ასე ძალიან 2008 წლის აგვისტოს ამბები გასული საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთში მომხდარ ამბებს?

თითქოს რაღაც ერთი საერთო სცენარით გადაღებული ორი ფილმია, ერთი და იგივე კადრებით, ერთი და იგივე სიუჟეტური ქარგით, ერთი და იგივე ფინალით.

მაშინაც ტანკებით შევიდა კიტოვანი აფხაზეთში, „კონსტიტუციური წესრიგის“ დასამყარებლად, რაც სრულიად საკმარისი საბაბი იყო ომის დაწყებისთვის.

13 თვე და 13 დღე გასტანა ქართველთა მედგარმა წინააღმდეგობამ, სანამ ქართველები მოტყუებით არ განაიარაღეს...

შევარდნაძეც სააკაშვილივით იფიცებოდა მაშინ, პროვოკაციაზე წამომაგეს, შეცდომაში შემიყვანეს, სიტყვა გატეხესო.

გასაკვირი არ არის, როგორ ერთნაირად, მიამიტი და ცოტათი ჭკუანაკლული ბავშვებივით წამოეგნენ ჩვენი ქვეყნის პირველი პირები ძალიან მარტივად ამოსახსნელ და მისახვედრ პროვოკაციებს?

დავუშვათ და მართლა შეცდომაში შეგიყვანეს და პროვოკაციაზე წამოგაგეს, რომელსაც ათიათასობით უდანაშაულო ადამიანის მსვერპლი, ტერიტორიების 20%-ის დაკარგვა, 400 000-მდე ადამიანის დევნილად ქცევა, ქვეყნის პარტახი და ნგრევა მოჰყვა, მაშინ თუ ღირსების გრძნობა გაქვს, თუ სინდისი გაქვს, ან შუბლში ტყვია უნდა იკრა, ან სადმე ბნელ სენაკში უნდა განმარტოვდე და დარჩენილი სიცოცხლე ლოცვასა და პატიების თხოვნაში უნდა გაატარო.

პროვოკაციაზე წამოგების შემდეგ შევარდნაძემ კიდევ ათი წელი ისე „იმეფა“, თითქოს არც არაფერი მომხდარა, ასევე პროვოკაციაზე წამონაგები სააკაშვილი ხუთი წელი მართავდა ქვეყანას და, ალბათ, ერთი ოცი წელი კიდევ იქნებოდა ხელისუფლების სათავეში, ბიძინა ივანიშვილი რომ არ გამოჩენილიყო.

არც შევარდნაძეს და არც სააკაშვილს არასოდეს არ დაუდანაშაულებიათ საკუთარი თავი და არასოდეს არ დასცდენიათ სინანულის სიტყვა, რომ მათი წინდაუხედაობის და პოლიტიკური დოყლაპიობის გამო ასეთი უზარმაზარი მასშტაბების ტრაგედია დაატყდა თავს ქვეყანას.

**„სგ“ N30-N31. 2017 წ.**
**იბეჭდება შემოკლებით**

# სააკაშვილი უკრაინაში დესტაბილიზაციის მოსაწყობად არის შეგზავნილი?

*გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, რატომ გახდა უკრაინისთვის, დღეს, სააკაშვილი ასე აქტუალური?**

— ამ კითხვაზე პასუხისთვის საჭიროა გავიხსენოთ შემდეგი: უკრაინის დღევანდელ ხელისუფალს — ზელენსკის, პრაქტიკულად, სააკაშვილისთვის იმის მერე, რაც მას პოროშენკოს წართმეული მოქალაქეობა დაუბრუნა, ყურადღება არ მიუქცევია. არსებობდა მოლოდინები, რომ ზელენსკი გარკვეულ ნაბიჯებს გადადგამდა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. მეორე მხრივ, ზელენსკისთან მიმართებაში საყურადღებოა შემდეგი: მან



არათუ რაიმე ნაბიჯი გადადგა, არამედ ამ ხმაურიან პროცესში რასაც სააკაშვილის წარდგენა ჰქვია, ზელენსკი გაქრა. მისი ფრაქციის წევრებსაც უკვირდათ: რატომ ხმას არ იღებდა პრეზიდენტი თუკი იგი სააკაშვილის კანდიდატურას ემხრობოდა; რატომ არ მივიდა ფრაქციის სხდომაზე და არ განაცხადა, რომ ამ კანდიდატურას ემხრობა. მისმა ფრაქციის წარმომადგენლებმა კიდეც თქვეს: მიშას მხარს დავუჭერდით პრეზიდენტს რომ ეთქვაო. მათ ზელენსკის პოზიცია არ იციან და ამიტომ, მიშას მხარდაჭერა, მათთვის რთულია. მოკლედ, ასეთი ვითარებაა: ზელენსკი არც ადრე აქცევდა სააკაშვილს ყურადღებას და ახლაც, ფაქტობრივად, მის კანდიდატურას დაუდევრად მოექცა.

**— მაშინ რატომ დადგა სააკაშვილის კანდიდატურა დღის წესრიგში?**

— დიახ, კითხვა ბუნებრივად ჩნდება. ეს ყველაფერი შემდეგზე მიუთითებს: სავარაუდოდ, სააკაშვილი ზელენსკის ფავორიტს არც წარმოადგენს. მგონია, რომ ეს სტილისტიკა რაც ზელენსკიმ სააკაშვილის ამ თანამდებობაზე წარდგენასთან დაკავშირებით განახორციელა, ძალიან ჰგავს შემდეგს: მას მიშა თავად არ უნდოდა, არამედ ვიღაცამ დააძალა. ხოდა, ისიც ადგა და სააკაშვილის ფიგურა, საჯარო განხილვებზე, პარლამენტში გაატანინა. თუ პარლამენტი კანდიდატურას ჩააგდებს, ზელენსკის სათქმელი ექნება: მე, ვეცადე, წარვადგინე, მაგრამ სხვებმა მხარი არ დაუჭირესო. ასეთი გადაბრალებები პოლიტიკაში ძალიან ხშირია მაშინ, როცა პოლიტიკოსს არ სურს ის ნაბიჯები გადადგას, რასაც მისგან ითხოვენ. ოღონდ, ისმის კითხვა: ვის შეეძლო ზელენსკიზე ასეთი ზეწოლის განხორციელება, რომ მან უარი ვერ თქვა და ეს თემა პარლამენტში განსახილველად შეაგდო. ამ საკითხზე რამოდენიმე ვერსია შეიძლება არსებობდეს. ერთ-ერთი უდაოდ არის შემდეგი: ამერიკაში, ალბათ, არის მაკ კეინის მომხრეთა ჯგუფი, ვინც სააკაშვილს უჭერს მხარს, მაგრამ არ მგონია, მათგან ასეთი დაჟინებული მოთხოვნა წამოსულიყო. ჩემი აზრით, დასაფიქრებელია ის ვერსიაც, რომ ეს ზეწოლა შეიძლება სულ სხვა მხრიდან იყოს. ცნობილია, რომ ზელენსკი ძალიან ცდილობს რუსეთთან, კრემლთან ინტენსიური ურთიერთობა დაამყაროს. ამავე დროს, ცნობილია ისიც, რომ მოსკოვიც ცდილობს ზელენსკის ხელისუფლებაში თავისი ხალხი ჰყავდეს, რათა ის სურათი მიიღოს, რაც აწყობს. დღეს, მოსკოვს უკრაინის დესტაბილიზაცია ძალიან აწყობს რადგან ნავთობის ფასებთან დაკავშირებულ სიტუაციაში მას გაუჭირდება უკრაინაში ისეთი ინტენსიური სამხედრო მოქმედებები აწარმოოს როგორსაც დღეს აწარმოებს. ამიტომ, გამორიცხული არ არის უკრაინაში დესტაბილიზაცია მოსკოვის ინტერესში იყოს, რათა მერე, ამ ფაქტორმა სიტუაცია იმდენად არიოს, რომ ფრონტზე ზრუნვის უნარი და საშუალება კიევს აღარ ჰქონდეს. ეს ვერსია აზრს მოკლებული არ არის ის, რომ ზელენსკის ინტერესში სააკაშვილის დანიშვნა არ არის, მისი რეაქციებიდანაც კარგად ჩანს, რომ — მიშას დანიშვნის მიმართ არანაირ მხარდაჭერას არ გამოხატავს. და თუ ეს მის ინტერესში არ არის, ე.ი. სხვისი ინტერესით მოქმედებს. ვისი ინტერესით შეიძლება მოქმედებდეს ზელენსკი?! ამ შემთხვევაში ეს უფრო მნიშვნელოვანია.

**— ვინ მართავს თავად სააკაშვილს?**

— სააკაშვილი ვისი კაცია სულერთია, მაგრამ ნიჭიერი და ელასტიური პოლიტიკოსი რომ არის, ფაქტია. მან თავის დროზე ჩაავლო მომენტს, როცა შევარდნაძე არც აშშ-ს უნდოდა და არც რუსეთს. აშშ-ს არ უნდოდა იმიტომ, რომ „ვარდების რევოლუციის“ იდეები აწუხებდა, რუსეთს კი, ზოგადად, შევარდნაძე არ უნდოდა. ამიტომ, ფაქტობრივად, სააკაშვილმა ორივეს ინტერესზე დაიწყო მუშაობა. მან იცის ბალანსზე მუშაობა. ამის ერთ-ერთი გამოხატულება გახლავთ ის, რომ იგი ცდილობს-ხოლმე იპოვოს სად ემთხვევა ერთმანეთს რამოდენიმე ქვეყნის ინტერესი. ის რომ სააკაშვილი რუსეთის ინტერესზე ისედაც მუშაობს, ამას აგვისტოს ომიც მოწმობს — მან ყველაფერი გააკეთა ომის წინ და მერე, მის პერიოდშიც საიმისოდ, რათა რუსეთის ინტერესები მაქსიმალურად დაცული ყოფილიყო.

**— თალაკვაძემ უკრაინაში წერილი გააგზავნა: მიშამ 9 მილიონი მოიპარა და ვალერი გელაშვილი ცემა ამიტომ, ვიცე-პრემიერად არ უნდა დანიშნოთო. სხვა არაფერი ჩაუდენია? უგულავამ 49 მილიონი მოიპარა, მიშას კი მხოლოდ 9 მილიონი მოუპარავს, „პატიოსანი“ კაცი ყოფილა, არა?**

— აბსოლუტურად, გეთანხმები — „პატიოსანი“ ადამიანი გამოდგა, რომელიც ახლა „პატიოსან“ ფულზე ცხოვრობს, ხომ. უკრაინელ ჟურნალისტსაც კი, ამ მიმართულებით, კითხვები გაუჩნდა და დააყენა საკითხი: საიდან ჰქონდა სააკაშვილს იმ სახლის აშენების ფული, სადაც ცხოვრობს. მოგეხსენებათ, პასუხი ასეთი იყო: დედამ ამიშენაო. ჟურნალისტმა დაასკვნა, რომ დედის ფულით ასეთი სახლის აშენება შეუძლებელი იქნებოდა. თქვენ, რა საკითხიც დააყენეთ, დაახლოებით, მაქეთკენ მიდის — რა ფულს ხარჯავს სააკაშვილი, რა არის მისი შემოსავლის წყარო? სამწუხაროდ, ქართულ სინამდვილეში ამ კითხვას იშვიათად სვამენ. მივდივართ დასკვნამდე, რომ უგულავას ხარჯები უფრო სერიოზულად გამოიყურება, ვიდრე თავად სააკაშვილის. ალბათ, ეს სწორედ ამ ხელისუფლების ერთ-ერთი ხარვეზია შემდეგი თვალსაზრისით: მან ვერაფრით მოახერხა საკითხების ისე დაყენება, რათა ანალოგიური კითხვები არ გაჩენილიყო. დიახ, ეს უკვე ამ ხელისუფლების ხარვეზია, მიუხედავად იმისა მოერევიან თუ არა ისინი კორონა ვირუსს.

**— პიჯაკების საქმეს ვერ გავცდით. სამართლებრივად რატომ არ არის სააკაშვილის დანაშაულობები გამოძიებული. რა არის ამის მიზეზი?**

— ვერ გეტყვით, დღევანდელი ქართული პოლიტიკის ერთ-ერთ ურთულეს საკითხს აყენებთ. არსებობს უფრო მარტივი პასუხი — უნიათოები არიანო. რატომ არიან უნიათოები?! კორონა ვირუსთან წარმატებულმა ბრძოლამ დაგვანახა რომ ხელისუფლება არ არის ისე უნიათო და მას საკმაოდ ენერგიული ნაბიჯების გადადგმა შეუძლია. მაგრამ ამან კიდევ უფრო მეტი კითხვა გაჩინა — მაშინ რატომ არ დგამს იგი ინერტულ ნაბიჯებს? — ეს ძნელი სათქმელია იმიტომ, რომ ბევრი სხვადასხვა ვერსია შეიძლება



არსებობდეს. ერთი შეიძლება იყოს ის, რომ ხელისუფლებამ მოახერხა „ქართული ოცნების“ შიგნით ყოფილიყვნენ ადამიანები, რომლებიც ადრე, სააკაშვილთან მუშაობდნენ. ანუ, ის, რასაც კოაბიტაციის ფენომენს ვეძახით. შესაბამისად, სამართალდამცავი სტრუქტურებიც ამ ხალხით არის სავსე. რატომ არ იძიებს ეს ხალხი სააკაშვილის დანაშაულებს, კითხვის ასე დასმა, რბილად რომ ვთქვათ, სწორი არ იქნება. მაშინ გამოვა, რომ მათ ამ დანაშაულებში საკუთარი მონაწილეობა უნდა გამოიძიონ. ძირითადი მიზეზი იმისა თუ რატომ არ ხდება სერიოზული დანაშაულობების გამოძიება სწორედ ეს არის — თავად ადამიანები რომლებიც დღეს სიმართლის დამცველნი უნდა იყვნენ, იმ დანაშაულების თანამონაწილენი არიან, რაც გამოძიებულ უნდა იქნას.

**— ზელენსკიმ შეიძლება არ იცის, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით რა დანაშაულებიც აქვს სააკაშვილს ჩადენილი. მიუხედავად**



**ამისა, ყოველ კვირას გამოდის „მთავარ“ არხზე და ხალხს ჭკუას ასწავლის, ქვეყნის არევაზე გვესაუბრება და პასუხს არავინ სცემს.**

— თქვენ, ახლა, ახალი მხარე გახსენით. მე, ვსაუბრობდი იმ გაუგებრობაზე თუ რატომ არ არის მის წინააღმდეგ სრულფასოვანი საქმეები აღძრული. თქვენ, დაამატეთ ის, რომ რაც აღძრულია იმასაც ვერ იყენებენ რიგიანად, ხომ. რა გითხრათ: ან უნდა დავეთანხმო იმას, ვინც იძახის უნიათო ხელისუფლებააო, მაგრამ ვნახეთ, რომ ამ ხელისუფლებას ენერგიული ნაბიჯების გადადგმა შეუძლია, ან მაშინ მეც უნდა შევუერთდე მათ რიცხვს, ვისაც ეს მთავრობა თანმიმდევრული ნაბიჯების გადამდგმელად არ ეგულება. რა გამოდის, ხელისუფლება ერთ რამეში კარგია, მეორეში — შეიძლება წააგოს. ანუ, მთლიანი სახელმწიფო ხაზის გატარებას ეს ხელისუფლება ახლა სწავლობს.

კანონი, წესით, ბევრ რამეზე უნდა მოქმედებდეს. მაგალითად, ექიმების წინააღმდეგ მთელი რიგი აგრესიული კამპანია წამოიწყეს. ამ დროს ექიმებს ქვეყნის მდგომა-



რეობა კბილებით უჭირავთ, ღამეებს ათევენ, რათა ვირუსი არ გავრცელდეს. მათ წინააღმდეგ კამპანიის წამოწყება ნიშნავს სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებას. მიუხედავად ამისა, ექიმების დისკრედიტაციას ახდენენ. ისინი სახელმწიფოსგან დაუცველნი არიან. მოქალაქეები ამბობენ: ექიმებს არ დაგაჩაგვრინებთო. ამ დროს, სახელმწიფო რას აკეთებს, გაუგებარია.

ჩვენ ვამბობთ, რომ პოლიციელზე ვინც ხელს აღმართავს, ის სახელმწიფოზე აღმართავს ხელს იმიტომ, რომ პოლიცია იცავს სახელმწიფოს. დღეს სახელმწიფოს იცავს ექიმი. ექიმზე ვინც ხელს აღმართავს, ის სახელმწიფოზე აღმართავს ხელს. ამიტომ, ექიმების მიტოვება ამ ბინძური კამპანიების პირისპირ, სრულიად გაუგებარია.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ქართული ნიურნბერგის პროცესი უნდა შედგეს და სააკაშვილი ერისა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებებისთვის უნდა გასამართლდეს!

## „ქართულმა ოცნებამ“ უნდა აღასრულოს ქართველი ხალხის ნება და აკრძალოს ნაცების ფაშისტური პარტია



**კობა არაბული:**

რა უნდა იყოს მთავარი ბრალდება ამ ჯალათი-ავანტურისტისა და მის მომხრეთა სექტისთვის, რომელთაც წარმოშვეს XXI საუკუნის ახალი ფაშიზმი და ახალი „ნიურნბერგის“ აუცილებლობა?!. ეს კითხვა თანდათან მწვავედ დგება.

ახლა, როცა საუბარია სააკაშვილის ექსტრადიციაზე და ეს დღე ახლოვდება, ალბათ, სააკაშვილის პროცესი ისეთივე უნდა იყოს, როგორიც ნიურნბერგის პროცესი. ბრალდება: დანაშაული ერისა და კაცობრიობის წინაშე…

ეს პროცესი უნდა იქცეს არა ოდენ სააკაშვილის, არამედ ერთიანი ნაციონალური სექტის, მისი განაყოფების და თანამოაზრეთა დასჯის პროცესად! ამ პროცესში მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა ერმა თავისი მართლმსაჯულრბის ისტორიული გამოცდილებით, რჯულის კანონებით, ტრადიციული და უახლესი სამართლებრივი ცოდნით… ბოლოს და ბოლოს, ეს სასამართლო ჩვენ უნდა ჩავატაროთ სააკაშვილის ჩამოყვანის გარეშეც.

სააკაშვილის დანაშაულთა ნუსხა კარგად ჩამოაყალიბა ვახტანგ ხარჩილავამ „საერთო გაზეთის“ ფურცლებზე დაბეჭდილ წერილში: „დიდი ღალატის ანატომია“… თქვა ბევრი რამ ჩინებული და ბევრი რამ ართქმულიც და მიზეზთა გამო დაფარული და მიჩქმალული!!!

მე მინდა კიდევ ერთხელ ჩამოვთვალო სააკაშვილის დანაშაულებათა ნუსხა და დავყო ორ კატეგორიად — შედარებით ნაკლები ცოდვანი და უფრო აღმატებული დანაშაულებანი, გადაზრდილი სამშობლოსათვის გაუგონარ ღალატში, რომლის მსგავსი მაგალითი, ჩადენილი ერთი პირის მიერ, ჩვენმა ისტორიამ არ იცის.

დავიწყოთ პირველიდან:

— საყურადღებოა მისი შიზოიდური აგრესია თავიდანვე, მისი შეჭრა პარლამენტში, „მამა-მარჩენალის“ ჭიქის დაცლა და დაქცევა. ეს დასაწყისი ავბედითი იყო…

ასეთივე იყო ნაცების აჭარაში შეჭრა და ასლან აბაშიძის კერძო (თუ სახელმწიფო) ქონების დარბევა და ბარბაროსული მიტაცება მისი და მისი ვანდალების მიერ…

ეს პირველივე სადისტურ-შიზოიდური სიმპტომები მეტად სახიფათო აღმოჩნდა და სწრაფად გავრცელდა მთელი საქართველოს მასშტაბით — პატარკაციშვილის, ხალვაშის თუ სხვათა ქონების დარბევით და მიტაცებით!

„პროსკრიპციები“ და სააკაშვილის „ცენტურიონების“ მიერ ადამიანების საწოლებიდან აყრა და სადღაც წაყვანა, წიოკი, რბევა, წართმევა, კვლა, დილეგები და მორგები „აპოკალიფსად“ უქცია და უზნეო ზნენი დაამკვიდრა.

— რა თქმა უნდა, მან, სააკაშვილმა, გადააჭარბა ძალაუფლებას ყოველ სფეროში: მოირგო კანონები საკუთარ თავზე, ხელყო და დახარჯა სახელმწიფო ქონება პირადი ინტერესებისთვის…

— რა თქმა უნდა, მან ღიად, საჯაროდ გასცა ნულოვანი ტოლერანტობის ბრძანება: „ესროლეთ ყველას, ყველგან, პირდაპირ და დაუნდობლად“… რასაც მოჰყვა უამრავი უდანაშაულო, ქუჩაში ჩახოცილი ახალგაზრდების მსხვერპლი და სისხლი…

— მან ციხეებში ჩაყარა არასრულწლოვანი მოზარდები (ბავშვები) პურის, ლიმონათის, ზოგადად, საჭმლის მოტაცებისთვის და სამუდამოდ დაღუპა

— რა თქმა უნდა, მან გასცა მიტინგების ბარბაროსული, ვანდალური დარბევის ბრძანება, რასაც მოჰყვა მშვიდობიან მოქალაქეთა დასახიჩრება და მსხვერპლი, სასაფლაოებზე თუ სახლის სახურავებზე შემოწყობილი გადამალული მკვდრები…

— რა თქმა უნდა, მან გასცა (ეს საჯაროდ გამოაცხადა!) სვანეთის კოშკებზე სარაკეტო იერიშიც და აფრასიძეების ამოწყვეტის ბრძანება!

— მანვე გასცა ტელევიზიების დარბევის, დახურვის, მათი ქონების განადგურებისა და ექსპროპრიაციის ბრძანება და, ზოგადად, მოქალაქეთა კერძო საკუთრების ხელყოფა ნორმად აქცია!

— რა თქმა უნდა, მან გასცა საპროცესო გარიგებებით, ნოტარიუსებში ძალადობით სახელმწიფოსთვის „საკუთარი ნებით“ ქონების „ჩუქების“ ბარბაროსული დავალება…

— რა თქმა უნდა, მან გასცა პატიმართა ტოტალური წამების და დასჯის ბრძანება, საპატიმროებში მათი გაუპატიურების, მათი დასნებოვნების ბრძანება ტუბერკულოზით და C ჰეპატიტით!..

— მან შექმნა 300 000 პრობაციონერის სახით ნახევრად დასჯილთა და დასასჯელთა „გულაგი“ ერზე შიშისა და ფსიქოლოგიური ძალადობის სინდრომის დასათესად…

— მან (და ბოკერიამ) მოაწყეს პატიმართა აჯანყების პროვოცირება და მათზე თავდასხმა, მათი ხოცვა-ჟლეტა.

— რა თქმა უნდა, მან მოაწყო გლეხობაზე ეკონომიკური დივერსიები სხვადასხვა ფორმით (კერძოდ, პირუტყვის და ფრინველის განადგურებით), რამაც გლეხი საკუთარი მიწიდან აყარა და გააქცია… შემოიყვანეს „სანიტარი მგელი“, რამაც მთლიანად გაანადგურა ცხოველთა ფაუნა…

— ის შეეცადა ერის ფსიქოლოგიის შეცვლას, მის „მეტამორფოზას“ ახალგაზრდობის ზომბირებით, ახალი ტიპის ადამიანის გამოყვანას. მან ხელი შეუწყო უზნეობას, ანუ მორალური „გარემოს“ ნგრევას, ღირსეულთა ღირსების შეურაცხყოფას…

— მან შეძლო ცილისწამებაზე, სიცრუეზე, შეურაცხყოფაზე არსებული „დამსჯელი მუხლის კანონის“ გაუქმება და გზა გაუხსნა ღირსეულთა ღირსების დამცირების ვაკქანალიას, ტრადიციული მორალის ნგრევას… სიტყვის თავისუფლების მანდატით შემოსა ფსევდო-ჟურნალისტთა და ავანტურისტთა კოლონები ერის ზნეობრივი სივრცის დასანგრევად…

— იგი პირდაპირ დაუპირისპირდა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას და შეძლო რელიგიათა ტოლერანტობის კანონის და სხვა ლიბერასტული ნორმების დამკვიდრება. ამით მან გზა გაუხსნა რელიგიურ უმცირესობათა, ჰომოსექსუალთა, ათასი ჯურის ლიბერასტთა და სექტანტთა ძალადობას ერის უდიდესი ნაწილის ნებაზე, მის ფსიქოლოგიაზე…

— მან განდევნა სამსახურებიდან, მეცნიერებიდან, კულტურიდან მთელი თაობები. შეეცადა (და შეძლო სამეცნიერო, კულტურული ინსტიტუტების, აკადემიების, კავშირების დანგრევა — სწავლულთა და მწიგნობართა განდევნა ერის სულელური სივრციდან და ქვეყანა მთლიანად გადავიდა დილეტანტი ხლისტების ხელში!

საკუთარი ამორალური ცხოვრებით, უზნეობის მაპროვოცირებელ და დამნერგავ ფენომენად („კენტავრად“) იქცა…

●

…სააკაშვილის დანაშაულთა ეს არასრული ნუსხა არ არის ცოტა.



არც მოგონილია, არც გაზვიადებული. ამ დანაშაულთა ნახევარიც კი ეყოფოდა ნებისმიერ ჯალათს და „ჰეროსტრატეს“, გნებავთ, ნერონის, ან კალიგულას ტიპის ტირანს… მაგრამ სააკაშვილის მთავარი დანაშაული სულ სხვაა: ეს არის „სამშობლოს ღალატი“. საკუთარი მამულის და მიწა-წყლის გაყიდვა და მტრისთვის გადაცემა, წინაპართაგან დაცული საზღვრების და ტერიტორიების დაშლა, რასაც გამოკვეთა და ცნობიერება სჭირდება…

ყოველი მისი დანაშაული ფატალურია და დღემდე დაუსჯელი, მის გამონაყოფთა და მიმდევართა მიერ წარმატებად გამოცხადებული! აღიარებული წაგება — მოგებად, ბოროტება — სიკეთედ!

●

ამ თემას არაერთი განზომილება, ექსპოზიცია და კულმინაცია გააჩნია; ეს გზა სისხლიანი და დრამატულია! რომელიც ჩვენს წინ ჩალაგებულია დოკუმენტურ კადრებად, მათ მხოლოდ შეკრება და სისტემაში მოქცევა უნდა, რომ მივიღოთ ტრაგიკული, მაგრამ ბრწყინვალე კინოქრონიკა ჩვენი ისტორიის კიდევ ერთი დრამატული მონაკვეთია.

**რეზიუმეს სახით ვიტყვი:**

სააკაშვილის ჩამოყვანის მთავარი მოტივაცია (ამოცანა) უნდა იყოს მისი სასამართლო პროცესის ქცევა ახალ ნიურნბერგის პროცესად! აქედან უნდა დაიწყოს ახალი ქვეყნის შექმნა და საზოგადოების გამარჯვება ფსევდოფასეულობებზე.

მას (სააკაშვილს) და მის ხროვას არ ჩაუდენია ფაშისტებზე ნაკლები დანაშაული ზოგადად კაცობრიობისა და საკუთარი ქვეყნის წინაშე. ამდენად, ქვეყანას უნდა მოეხსნას სატანური კანიბალური ტვირთი — დანატოვარი ამ უმძიმესი რეჟიმის და პოლიტიკური სექტის მიერ! ამიტომ სააკაშვილის პროცესზე უნდა გასამართლდეს „ნაციონალური მოძრაობა“ მასთან ერთად და ყველა მისი თანამოაზრე!

მხოლოდ მას გასამართლება არაფერს ნიშნავს, თუ მისი ჯალათები პარლამენტში ისხდებიან და კვლავაც კენჭისყრას, გაბედავენ თვითმმართველობის არჩევნებზე!

„ქართულმა ოცნებამ“ უნდა აღასრულოს ქართველი ხალხის ნება და აკრძალოს ნაცების ფაშისტური პარტია, ვიდრე მას პარლამენტში ჰყავს კონსტიტუციური უმრავლესობა.

ეს იქნება „ქართული ოცნების“ მისიის აღსრულება ქართველი ხალხის წინაშე!

„სგ“ N 33, 2017 წ.

# სააკაშვილი ჯალათი და კრიმინალური ბანდის ატამანია, რომელსაც მიზანში ამოღებული ქვეყნების გასანადგურებლად ქირაობენ



***გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტ. პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:***

**— ქალბატონო ნანა, სააკაშვილი რეალური დანაშაულობებისთვის დღემდე არ არის გასამართლებული. რა არის ამის მიზეზი?**

— ჯერ კიდევ მაშინ როცა სააკაშვილი და მისი გუნდი შევარდნაძის ბიჭებად იწოდებოდნენ, უბედურებების დიდი ნაწილი ამ ადამიანების მიერ იყო პროვოცირებული. შევარდნაძის დამხობის მერე სრულად აიღეს ძალაუფლება, დაირქვეს „ნაციონალური მოძრაობა“ და ქვეყანაში ათას სისასტიკეს ახდენდნენ, რისთვისაც სააკაშვილს პასუხი არ უგია, არ გასამართლებულა. ყველაზე მნიშვნელოვანი ეს გახლავთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა. ამაზე სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს მუხლები, რაც უვადო თავისუფლების აღკვეთით ისჯება, თუკი გამოძიება დაადგენს, რომ კონკრეტულმა პირმა ტერიტორიების დაკარგვა მიზანმიმართულად ან დაუდევრობით განახორციელა. ეს მუხლები სააკაშვილის მიმართ არ ამოქმედებულა. ისმის კითხვა: რატომ? ამ საკითხზე გამოძიება უნდა ჩატარებულიყო და დადგენილიყო — ეს იყო მიზანმიმართული ქმედება თუ უმეცრება. მაგრამ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა და შედეგად ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დანაშაულის გამოძიება არ მომხდარა. დასკვნა ერთია: ამ ბნელი ძალების სურვილი არ იყო სააკაშვილის ამ მუხლით გასამართლება. კვლავ ჩნდება კითხვა: რატომ? — 2003 წელს როდესაც სახელმწიფო გადატრიალება მოხდა და სააკაშვილმა ძალაუფლება ხელთ აიღო, საქართველოში ამერიკის მაშინდელი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უმცროსი ჩამოვიდა, რომელმაც მიშას მმართველობას „დემოკრატიის შუქურა“ უწოდა. ბუნებრივია, „მანათობლად“ მონათლული პიროვნების მიმართ უკვე მთლიანად ამერიკის ინტერესებშიც აღარ შედიოდა ის, რომ დემოკრატიის შუქურად აღიარებული ადამიანი, იმავდროულად, სამშობლოს მოღალატედ, მტრად და ტერიტორიების გამსხვისებლად მონათლულიყო. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ამ საკითხებზე მსჯელობა იურიდიულ დონეზე არ მოხდა. ამის შემდგომ შეგვიძლია პოლიტიკური რეჟიმის, რაც სააკაშვილმა შექმნა, დანაშაულობების მთელი კასკადი ჩამოვთვალოთ. ეს იყო დიქტატურა, რასაც თან ახლდა სახელმწიფო რეკეტი, საზოგადოების გაკულაკება, ქონების კონფისკაცია, ექსპროპრიაცია, ადამიანების ფიზიკურად წამება და ღირსების შემლახავი მოპყრობა. პატიმართა ასეთი რაოდენობა საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. ჩვენ პატიმრების რიცხოვნობით ევროპაში პირველ და მსოფლიოში მეორე ადგილზე ვიყავით. ასევე, მსოფლიოში პირველ ადგილზე ვიყავით პატიმართა სიკვდილიანობით. კორუფცია დავამარცხეო — ამბობდა სააკაშვილი. ეს იყო სიცრუე. მან ქვედა ეშელონებს ჩამოართვა კორუფციის უფლება და იგი ელიტური გახადა. არც ამაზე უგია მას პასუხი ან თუნდაც იმაზე, რომ ქვეყანაში არსებობდა არალეგალური ფონდები, სადაც თანხები ოფიციალურად ირიცხებოდა. თუმცა, ისეთი მექანიზმი იყო შემუშავებული, რომ პირის იდენტიფიცირება, თუ ვინ რიცხავდა ამ თანხებს, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. სააკაშვილის 9 წლიანი მოღვაწეობა მსგავსი მაგალითებით სავსეა. ასევე, სავსეა შემდეგი ფაქტებით: ნოტარიუსები ღამის სამ-ოთხ საათზე კერძო მფლობელებიდან სახელმწიფოზე ან სასურველ პირებზე ქონებების გადაფორმებას ახდენდნენ. მტკიცებულებების არსებობის მიუხედავად, არც ეს საქმეები ყოფილა სააკაშვილის წინააღმდეგ აღძრული. ანუ, იგი ქვეყნის ინტერესებისთვის წინააღმდეგ დამანგრეველ პოლიტიკას აწარმოებდა. სააკაშვილი აპიარებდა რუსეთთან ფორმალურ დაპირისპირებას, რეალობა სულ სხვა იყო — მან ეს ტერიტორიები რუსეთზე გაასხვისა, მსხვერპლით გადასცა. აი ამ ჯაშუშური, ქვეყნის საწინააღმდეგო მოქმედებებისთვის მას პასუხი არ უგია. ასევე, მან პასუხი არ აგო იმაზე, რაც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში პირდაპირ იყო ჩაწერილი, რომ საქართველოს ხელისუფლება საკუთარ ტერიტორიას და მის მოსახლეობას კასეტური ბომბებით ბომბავდა. ამაზე „ნაცმოძრაობის“ წევრები აწერდნენ ხელს და აღიარებდნენ, რომ მათ საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ აკრძალული იარაღი გამოიყენეს და საკუთარი ხალხი დაბომბეს. ამ საკითხმა ისე ჩაიარა, ტელევიზიებში სერიოზული დისკუსიაც კი არ გამართულა, არადა ეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი გახლდათ. ამ ყველაფერს მწვანე შუქი ჰქონდა ანთებული სწორედ იმიტომ, რომ სააკაშვილის უკან ბნელი ძალა იდგა, რომელიც მოქმედებდა არა ამერიკელი ან ქართველი ხალხის, არამედ მერკანტილური ინტერესებიდან გამომდინარე. ისინი ქვეყანაში სწორედ იმ ანტიდასავლურ პროპაგანდას იყენებდნენ, რაც დღეს საკმაოდ გამოკვეთილია. არადა, სააკაშვილი გაიძახდა: პროდასავლელი ვარო. ამ დროს სწორედ მის პოლიტიკას უკავშირდება იმ რეიტინგის საგრძნობლად ვარდნა, რაც დასავლეთს საქართველოში ჰქონდა. იმიტომ, რომ ქართველი ხალხი ხედავდა, რომ პრო-დასავლურობად სააკაშვილი აცხადებდა: ტერიტორიების დაკარგვას, უსამართლო სასამართლოს და ა.შ. სასამართლო ადეიშვილმა სრულად აიღო ხელში. ასევე, პარლამენტი რომელმაც გირგვლიანის მკვლელების გასათავისუფლებლად, სააკაშვილის დაკვეთით ერთ დღეში სისხლის სამართლის კოდექსში ოთხი ცვლილება შეიტანა. სააკაშვილმა სასამართლო პროკურატურის ნოტარიუსად, ხოლო პარლამენტი თავის ჯიბის კანტორად აქცია. ციხეები ოფიციალურ სასაკლაოებად იქცა, სადაც ადამიანებს აწამებდნენ, კლავდნენ, აინვალიდებდნენ. გათავისუფლებული პატიმრების 5%-ზე მეტი ციხიდან ოფიციალური ინვალიდი გამოდიოდა. ამ პოლიტიკის ფონზე საუბარი იმაზე, გაფლანგა თუ არა მან თანხები, ცინიზმია. მისი დანაშაული მხოლოდ თანხების გაფლანგვა კი არ იყო, არამედ ის რაც ჩამოვთვალე. სააკაშვილი ბიუჯეტს როგორც ქვეყნისას ისე არ აღიქვამდა, არამედ როგორც საკუთარ ჯიბეს. ის ქვეყანას მართავდა არა როგორც მთავრობა და ხელისუფლება, არამედ როგორც კრიმინალი იქცევა მაშინ, როცა ძარცვავს, კლავს და ა.შ. იგი ისეთ კრიმინალებს ჩადიოდა, რაც საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. მისი მოღვაწეობა, საერთოდ, არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სახელმწიფოს მმართველობა. იგი იყო კრიმინალი, რომელიც საქართველოს როგორც თავის მსხვერპლს ისე ეპყრობოდა. ამ ფონზე, 9 მილიონზე ლაპარაკი, როცა ვიცით რომ ქვეყნის გარეთ მილიარდობით თანხა აქვს გატანილი, სასაცილოა. რამდენი წელია, იგი, ფაქტობრივად, ყოველგვარი შემოსავლის, ხელფასის, მოქალაქეობის გარეშე ფეშენებელურ პირობებში ცხოვრობდა, იძენდა ახალ ქონებებს. მას იგივე ძალა სხვადასხვა ქვეყნებშიც ინარჩუნებდა. მისი ერთ-ერთი სერიოზული დანაშაული იყო ისიც, რომ ქართველ ხალხს დასავლეთი შეაზიზღა და საბჭოთა სისტემა მოანატრა. ვიმეორებ, მისი მმართველობის დროს ქვეყანაში უპრეცედენტო კრიმინალი სუფევდა. სააკაშვილთან ვერცერთ კრიმინალს ვერ გააიგივებთ. მე, საბჭოთა პერიოდში ციხეში ვიჯექი, მაგრამ არ მახსოვს წამების ის ფორმები, რაც მისმა რეჟიმმა დაამკვიდრა. ამ ფონზე როდესაც მისი გათეთრება იმ ბრალდებებით ხდება, რაც წაყენებული აქვს, ეს უკავშირდება არა იმას, რომ მისი გასამართლება რეალურ დანაშაულობებზე არ შეიძლებოდა, არამედ მას ისეთი ძალა მფარველობდა, რომელიც დღეს არამარტო საქართველოს, არამედ ამერიკასაც კი ძალიან სერიოზულ პრობლემებს უქმნის, მათ შორის, ამერიკის პრეზიდენტსაც.

არც უკრაინაში მისი დანიშვნის სურვილი და არც სააკაშვილის კრიმინალის დაფარვა, მისი არგასამართლება იმ დანაშაულობებისთვის რაც საქართველოს წინაშე ჩაიდინა, არ არის ამ ქვეყნების ხელისუფლებების ნება-სურვილზე დამოკიდებული. არც საქართველოს ხელისუფლების ნება არ იყო ის, რომ მიშა რეალური დანაშაულობებისთვის არ გასამართლებულიყო და არც მისი გაპრემიერებაა უკრაინის ნება-სურვილი. ერთიც და მეორეც თავსმოხვეულია. ამ ქვეყნებს არ აქვთ პოტენციალი დაუპირისპირდნენ იმ ძლიერ ძალას, რომელიც მთელს მსოფლიოში ამინდს ქმნის. იგი იმდენად მძლავრი ძალაა ტრამპსაც კი უქმნის პრობლემებს და საქართველოს და უკრაინის ხელისუფლება რა მოსატანია. აი, ეს რეალობა არის იმ კითხვის მიზეზი რაც თქვენ დამისვით.





### სხვა გზა არ არის – ქართული ნიურნბერგის პროცესი უნდა შედგეს!

**(ფრაგმენტი წერილიდან. „სგ“ N 20, 2019 წ.)**

საფრთხე რაც ქვეყანას, დღეს, სააკაშვილის მხრიდან ემუქრება, შემდეგია: იგი, მუდმივად, არის საქართველოს დესტაბილიზაციის, მისი უკანდახევის ფლაგმანი. აქედან გამომდინარე, გარდა იმ უბედურებებისა რაც მან კონკრეტულ ადამიანებს ციხეებსა თუ მის გარეთ დამართა, ქვეყანას, ტერიტორიული მთლიანობის თვალსაზრისით, უზარმაზარი ზიანი მიადგა. ამიტომ, სააკაშვილს ამ პოლიტიკისთვის პასუხი უნდა ეგო. ასევე, მან მორალური კუთხითაც მიაყენა ზიანი ქვეყანას: დაანგრია განათლების სისტემა, მოშალა ფუნდამენტი, რაზედაც საქართველო ოდითგანვე, საუკუნეების მანძილზე იდგა, შელახა ქართული ტრადიციები, ღირებულებები. მან სრულიად ერს დიდი ზიანი მიაყენა და ეს ფაქტი დაუსჯელი დარჩა მაშინ, როცა ციხეებში სხედან ადამიანები, რომლებიც სასჯელს 100–200 ლარის ქურდობისთვის იხდიან. ამ დროს, ისეთი სერიოზული დამნაშავე როგორიცაა მიხეილ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“, დღემდე პო-

ლიტიკაში არიან. ხელისუფლებამ სამართლიანობის აღდგენის კუთხით ნაბიჯები უნდა გადადგას, თორემ, შემდგომი ხელისუფალი აუცილებლად მოსთხოვს პასუხს: რატომ დააფარა ხელი დამნაშავეებს. ხელისუფლებას ჯერ კიდევ აქვს დრო სააკაშვილს, ყველა კრიმინალური დაჯგუფების წევრს, ვინც 9 წლიანი რეჟიმის დროს დანაშაულს სჩადიოდნენ, პასუხი აგებინოს.

ის, რაც გერმანიაში ფაშიზმის დამარცხების შემდეგ წარიმართა, ეს გახლავთ სამართლებრივი შეფასება. როგორ ფიქრობთ, ფაშიზმი რომ არ შეფასებულიყო, სხვა შემთხვევაში, რომელიმე მოსამართლე იქნებოდა გათავისუფლებული ან დასჯილი?! მაგრამ ჩვენთან, გერმანიისგან განსხვავებით, შეფასება არ მომხდარა, გამოდის, რომ ახლა რაც ხდება პოლიტიკური დევნაა და მეტი არაფერი. სტალინის დროს გამამართლებელი განაჩენი 10%-ზე მეტი იყო, სააკაშვილის რეჟიმის დროს კი — 0,001. ასეთი დამონებული, პოლიტიზირებული სასამართლო საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. ამიტომ, რეჟიმი თუ არ შეფასდა, ეს სახელმწიფოს კიდევ უფრო დაანგრევს.

ხალხმა იმაზე მეტი რა უნდა გააკეთოს, როცა მან 2012 წელს არჩევნების გზით რევოლუცია მოახდინა. მთელი ერი აჯანყდა და საარჩევნო ყუთებთან ეს რევოლუცია მოიგო — საქართველოში ფაშიზმი დაამარცხა. ხალხმა გაიმარჯვა და ფაშისტებს ძალაუფლება ჩამოართვა. ახალმა ძალამ კი ხელისუფლება ამ ფაშისტებით გატენა. რა ქნას ხალხმა, იარაღი აიღოს ხელში? აქეთკენ მიჰყავს ხელისუფლებას საზოგადოება, რომ თავად აღადგინოს სამართლიანობა?

ჩვენ, თუ ვერ შევძლებთ და ფაშიზმს ვერ დავამარცხებთ, ქვეყანას არაფერი ეშველება. ვიმეორებ, რეჟიმი უნდა გასამართლდეს.

## „ნაცმოძრაობა“ – რუსეთის მეხუთე კოლონა

**(ფრაგმენტი წერილიდან. „სგ“ N 26, 2019 წ.)**

2019 წლის ივნისს რაც მოხდა, 2003 წლის მერე, მსგავსი რამ არ ყოფილა, უბრალოდ, არსებობდა მინიშნებები, რომ „ნაცმოძრაობა“ გადატრიალებისთვის ემზადებოდა. სააკაშვილი და გვარამია „რუსთავი2“-ზე ხშირად აჟღერებდნენ, რომ ქვეყანა უნდა ჩამოშალონ, დაამხონ, კონკრეტული ქმეედებებიც იყო, მაგრამ პირდაპირი მტკიცებულება საზოგადოებას არ ჰქონდა. თუმცა, გამოძიებას აუცილებლად ეცოდინებოდა როთ იყო დაკავებული ეს ბანდა, მაგრამ სამწუხაროდ, ამას მსვლელობა არ მიეცა. დღეს, უკვე ქართულმა საზოგადოებამ საკუთარი თვალით ნახა, რომ „ნაცები“ ხელისუფლებაში მოსვლას გადატრიალების მცდელობით აპირებდნენ. თუ ხელისუფლება ამ კრიმინალების ქმედებებს დღესაც დაუსჯელს დატოვებს და ამ მიმართულებით ადეკვატური არ იქნება, მათ 2020 წელს ხელისუფლებაში კონსტიტუციური გზით მოსვლა გაუჭირდებათ. როცა ასეთი დესტრუქციული ძალა არსებობს, უნდა იცოდე, რომ დღეს თუ არა ხვალ ან ზეგ მაინც განახორციელებენ ჩანაფიქრს. სამწუხაროდ, ქვეყანაში ასეთი მიდრეკილების ადამიანები არსებობენ, თანაც ისინი პოლიტიკაში მნიშვნელოვან თანამდებობებზე არიან. პარლამენტი თუ ხელისუფლების ნებისმიერი შტო მათი მოკავშირეებით არის სავსე. თუ ხელისუფლება მათ გაწმენდას არ დაიწყებს, რათა სახელმწიფო უსაფრთხოდ იყოს, ბუნებრივია, ხალხს ასეთი რეაქცია ექნება — არც ერთი და არც მეორე. ხელისუფლებაში ისეთი ხალხი უნდა მოვიდეს, ვისაც უნარი შესწევს საზოგადოება მსგავსი რყევებისგან, გაუთავებლად სახელმწიფოს ჩამოშლის რისკისგან, თუნდაც იმ მატერიალური ზიანისგან დაიცვას, რაც დღეს ქვეყანას, ხალხს მიადგა. ეს, უშუალოდ, მოსახლეობის ჯიბეზე აისახა. ადამიანები ამ კრიმინალური ძალის — „ნაცმოძრაობის“ მსხვერპლნი აღმოჩდნენ. ვინ აუნაზღაურებს ხალხს მიყენებულ ზარალს? კვლევები ადასტურებს, რომ ამ პროცესებმა პუტინის რეიტინგი ერთი-ორად გაზარდა როგორც მის ქვეყანაში, ასევე დასავლეთში იმ საპასუხო რეაქციისთვის, რაც მან საქართველოზე სანქციების დაწესებისთვის უარის თქმით გააკეთა.

ეჭვი არ მეპარება, რაც გაბუნია-გვარამიამ გააკეთეს, ეს, აბსოლუტურად, რუსული პროექტი იყო. როგორც ზემოთ გითხარით: ეს პირადად პუტინის ინტერესებში იყო და შედეგიც შესაბამისი დადგა. პუტინმა იხეირა, ჩვენ კი დავზარალდით. მსოფლიოს ვაჩვენეთ, რომ პოლიტიკაში, ჟურნალისტიკაში ასეთი ვიგინდარები გვყავს. ამ დროს ხელისუფლება პასუხს არ გვცემს: რის საფუძველზე მოხდა პოლიტიკაში ამ კრიმინალების შენარჩუნება?

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# ნუგზარ საჯაიას ტრაგედიაში „ახალგაზრდა რეფორმატორებმა“ ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულეს



***გვესაუბრება პოლიტიკის ექსპერტი, პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი გია ხუხაშვილი***

**— იმ პერიოდში, როცა ჯგუფი, სახელწოდებით, „ახალი რეფორმატორები“ მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდიოდნენ, მე რეფერენტად ვმუშაობდი საქართველოს მთავრობაში.**

1998 წელი იდგა. ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი „ვარდების რევოლუცია“.

ისტორიულადაც ცნობილია: არც ერთი სახელმწიფო გადატრიალება მსოფლიოში არ მომხდარა სპონტანურად და შემთხვევით. ყველა „რევოლუციამდე“ მასობრივად მიმდინარეობდა მოსახლეობის შემზადება და აგიტაციები სხვადასხვა საშუალებებით. ასე იყო „ვარდების რევოლუციამდეც“. ამ გადატრიალებაში მაშინ ჩართული იყო თითქმის მთელი მასობრივი საინფორმაციო საშუალება.

იმ ხანებში უშიშროების საბჭოს მდივანი ნუგზარ საჯაია ე.წ. რუხი კარდინალი სახელმწიფოს მთავარი ღერძი იყო და „ახალგაზრდა რეფორმატორების“ მთავარი ამოცანაც ნუგზარ საჯაიას ჩამოცილება გახდა, რადგან ამის გარეშე მათი გეგმების განხორციელება ადვილი არ იქნებოდა — ისინი ვერ შეასუსტებდნენ შევარდნაძეს და შესაბამისად, ვერც ხელისუფლებას ჩაიგდებდნენ ხელში.

ამ გეგმისთვის „ახალგაზრდა რეფორატორებმა“ შესანიშნავად გამოიყენეს ბორის კაკუბავა, რომელზეც სს საქმე იყო აღძრული და სადეპუტატო იმუნიტეტიც ჰქონდა მოხსნილი. კაკუბავა მოსკოვში გაიქცა. რუსეთიდან კაკუბავამ და იქ მყოფმა თენგიზ კიტოვანმა თითქმის ერთ ხმაში დაიწყეს ნუგზარ საჯაიას არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციაზე საუბარი, რაც აბსოლუტური ტყუილი იყო. ამ ბინძურ კამპანიას ისინი დამოუკიდებლად ვერც წამოიწყებდნენ, რომ არა რუსეთის ფედერაციის შესაბამისი უწყებების მითითება ნუგზარ საჯაიას პიროვნების დისკრედიტაციისთვის. საქართველოდანაც მხარდაჭერილი იყო ეს გეგმა, რადგან „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდულ გუნდს კარგად ესმოდა, რა ძალას წარმოადგენდა ქვეყანაში ნუგზარ საჯაია — თუ ის თავის ძალაუფლებაში კვლავ დარჩებოდა, „ვარდების რევოლუცია“ ფაქტობრივად, ვერ მოხდებოდა.

ნუგზარ საჯაიას მკვლელობამდე რამდენიმე თვით ადრე პირდაპირი ბრძოლა დაიწყო მის წინააღმდეგ სააკაშვილისა და მისი მეგობარი „რეფორმატორების“ მიერ კონტროლირებადი ტელევიზიიდან „რუსთავი-2“—დანაც.

საზოგადოების გარკვეული ნაწილი იმ „ახალგაზრდა რეფორმატორებსა“ და ახლა უკვე „ნაციონალურ მოძრაობას“ პროდასავლურ და პროამერიკულ ძალად მიიჩნევს, თუმცა მე დღემდე მიმაჩნია, რომ სააკაშვილი და მისი პოლიტიკური ჯგუფი დასაწყისიდანვე რუსეთის სპეცსამსახურების საქმეს ემსახურებიან. მათი მთავარი მიზანი იყო საქართველოში პროდასავლური ორიენტაციის დისკრედიტირება, რაც, სხვათა შორის, მშვენივრად განახორციელეს.

**— თქვენ პირადად იცნობდით ნუგზარ საჯაიას?**

— მე ხშირად ვესწრებოდი თათბირებს მისი თანდასწრებით და მეტიც, სხვადასხვა დავალებების შესრულებისთვის მასთან უშუალო კონტაქტებიც მქონდა.

მის გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე, პარასკევი დღე იყო, რომ საღამოს მის კაბინეტში დამიბარა: 2005 წელს ედუარდ შევარდნაძე აღარ აპირებს პრეზიდენტად იყაროს კენჭი, არც კონსტიტუცია აძლევს ამის საშუალებასო და ვთათბირობდით, ვინ შეიძლებოდა პრეზიდენტად წარგვედგინა. მე ვუთხარი: სააკაშვილი და მისი „რეფორმატორები“ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ყველა ღონეს იხმარენ-მეთქი. ბატონმა ნუგზარმა მითხრა: ეს არ უნდა მოხდეს, ესენი ქვეყანას დაღუპავენ, მაგრამ მე მაქვს მათი მამხილებელი მასალები, ერთი პრესკონფერენცია რომ ჩავატარო, ეს გუნდი პოლიტიკიდან კი არა, საქართველოდან გაიქცევაო.

**— რა მასალები ჰქონდა, თქვენ იცით ამის შესახებ?**

— მე, ცხადია, ამ მასალებს არავინ მაჩვენებდა, მაგრამ აშკარა იყო, ბატონმა ნუგზარმა „ახალგაზრდა რეფორმატორების“ მთელი ავანჩავანი იცოდა და დოკუმენტურადაც შეეძლო ამის დასაბუთება, თუმცა უკვე ორშაბათს პრეზიდენტთან ტრადიციული თათბირის შემდეგ ნუგზარ საჯაიამ, როგორც მერე თქვეს, საკუთარ კაბინეტში თავი მოიკლა.

სინამდვილეში, უშიშროების საბჭოს მდივანს ორი ტყვია ჰქონდა თავში დახლილი, რასაც თვითმკვლელი, მეთანხმებით, ვერ მოახერხებდა. ამ ორი ტყვიის შესახებ ექსპერტიზამ დაასკვნა, თუმცა საქმეს მსვლელობა არ მისცემია. ოჯახის წევრები შიშით ხმას ვერ იღებდნენ.

**— მაგრამ ახლა ხომ შეიძლება ამოიღონ ხმა?**

— ისინი მიიჩნევენ, რომ ნუგზარ საჯაიას მტრებს დღესაც დიდი გავლენები აქვთ ხელისუფლებაში...

თუმცა დავუბრუნდეთ თვით ფაქტს — მკვლელობას. ამ საქმეში, სავარაუდოდ, როგორც ვთქვი, გარეული იყო სააკაშვილი-ჟვანიას ჯგუფი, რომლებიც მადისკრედიტებელი აგიტაციისთვის რუსეთში გადახვეწილ ბორის კაკუბავას იყენებდნენ, რომელსაც, იმ ხანებში, პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიამ სადეპუტატო იმუნიტეტი აღუდგინა. როგორც ჩანს, კაკუბავას რაღაცის სანაცვლოდ იყენებდნენ საჯაიას წინააღმდეგ.

**— ამ მკვლელობაში შეიძლება პირდაპირ კაკუბავა იყოს გარეული?**

— არა. ნუგზარ საჯაია მოკლა იმ ადამიანმა, რომელიც მის კაბინეტში ხშირად და თავისუფლად შედიოდა. ეს ჩემი ლოგიკაა. კონკრეტულად არ შემიძლია ვინმეზე ვივარაუდო, თუმცა მკვლელობა, როგორც გითხარით, „რეფორმა-



ტორების“ ინტერესის საგანი იყო, რადგან ნუგზარ საჯაია მათ მხილებას აპირებდა. ზემოთაც ვთქვი, ბატონმა ნუგზარმა პირდაპირ მითხრა: მათ შესახებ მასალები რომ გავამჟღავნო, ესენი საქართველოდან გაიქცევიანო.

**— შემდეგ უკვე „გზა გაწმენდილი“ იყო და „რეფორმატორები“, სააკაშვილი-ჟვანიას მეთაურობით, მოვიდნენ ხელისუფლებაში, თუმცა, მოგვიანებით, ჟვანიაც, როგორც ამბობენ, მოიშორეს.**

— როგორც სარწმუნო წყაროები იუწყებიან, ზურაბ ჟვანიას ფინანსებიც ჰქონდა მობილიზებული და ახალი პარტიის შექმნას აპირებდა, რომელიც სააკაშვილს დაუპირისპირდებოდა. ეს გაიგო, არ აპატია სააკაშვილმა და ისიც ჩამოიცილა გზიდან.

ეს ვარაუდებია, ლოგიკაზე და ინფორმაციებზე დაყრდნობით, რომლებსაც, დამეთანხმებით, აქვს არსებობის უფლება, ასე რომ, „ნაცმოძრაობის“ ბოსი და თავკაცი სააკაშვილი სისხლით მოვიდა საქართველოს ხელისუფლებაში, მერე რაც დატრიალდა, ყველამ ვნახეთ და კიდევ რას იზამს მკვლელობების გამოცდილებებიდან გამომდინარე, დაკვირვებული ადამიანები კარგად მიხვდებიან.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# რაც სააკაშვილმა ჩაიდინა, ეს არის კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული. ის ორი მუხლით უნდა გასამართლდეს – როგორც სახელმწიფო და როგორც სამხედრო დამნაშავე



*გვესაუბრება კუდ-ის ყოფილი თანამშრომელი ნიკა ბერიძე.*

***რესპოდენტმა 2006 წელს, 21 წლისამ დაიწყო შსს-ს სისტემაში მუშაობა. 2012 წელს წამოვიდა ძალოვანი სტრუქტურიდან, ახლა უმუშევარია.***

**ნიკა ბერიძე:** ინტერვიუს ერთი პირობით მოგცემთ, თუ ჩემს სიტყვებს არ შეცვლით და მწვავე, საგულისხმო ინფორმაციებსაც არ ამოიღებთ. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ჟურნალისტებთან როცა მქონია ურთიერთობა, ჩემი ნათქვამის მაგივრად, რაც თვითონ მოეხასიათებათ იმას წერენ.

ჩვენს ყოფილ პრეზიდენტს და მთავარსარდალს სამწუხაროდ, გამყიდველ მოღალატესა და მკვლელ მიხეილ სააკაშვილს, უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი იმ რვა წლის განმავლობაში. რახან ცხრა წლის ხსენებაზე გული უწუხთ ნაცებს, კარგი, ერთი წელი მოვაკლოთ. არავითარი გადაცდომა, ეს იყო პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულობები. მისი ოჯახის წევრები, ყოფილი რძალი ხატია დეკანოიძე – №1 ჯალათი რასაც ჰქვია, სააკაშვილის ძმა დავითი, დეკანოიძის ექს-ქმარი, მიშას მეუღლე სანდრა რულოვსი და დედა გიული ალასანია, ყველა საქართველოს დაუძინებელი მტრები არიან. ამათ გაყიდეს ჩვენი ქვეყანა, ჩააბარეს კოდორის ხეობა, ცხინვალის რეგიონი, სადაც სამწუხაროდ, ლამის ყოველ დღე ავლებს რუსი მავთულხლართებს და წინ მოიწევს. ეს პირადად სააკაშვილის ორგანიზებითაა გაკეთებული იმისთვის, რომ ჩვენი ერი განადგურებულიყო, ხოლო მათი ოჯახის, სანათესაო-საახლობლოს პირადი ბიუჯეტი მილიონობით კი არა, მილიარდობით გაზრდილიყო. ეს არის ფაქტი, რასაც ძირეული გამოძიება ჭირდება. სააკაშვილის ახლო წრის ძალოვანების მიმართ რომ აღძრეს სს-ის საქმეები და ცხრა მილიონის გაფლანგვაზე საუბრობენ, ეს არის სასაცილო. რა ცხრა მილიონი, როცა ასჯერ (თუ მეტჯერ არა) მეტი თანხებია გაფლანგულ-მითვისებული. პირდაპირ ვამბობ, სააკაშვილის ადმინისტრაციის უფროსი და აწ პარლამენტარი ირმა ნადირაშვილი, მისი მოადგილე მანანა ოჩიაური, სააკაშვილის დროინდელი სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსი თეიმურაზ ჯანაშია სახელმწიფო ბიუჯეტის ფლანგვის უშუალო თანამონაწილეები არიან. მართალია, სრულად ვარ დარწმუნებული, მაგრამ მაინც სავარაუდოდ გეტყვით, რომ მინიმუმ ასი მილიონი ლარია დახარჯული სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიხეილ სააკაშვილის „ფავორიტკა“ მანდილოსნებზე. რაში გამოიხატებოდა ხარჯვა-ფლანგვა? მათთვის ძვირფასი საჩუქრების, ტანსაცმელი, სამკაულები, უძრავ-მოძრავი ქონება და ა.შ. შეძენაში. მაგალითად, ერთ-ერთ მომღერალს, სააკაშვილმა ბათუმის პრესტიჟულ უბანში მშენებარე კორპუსში 600 კვ.მ ფართი აჩუქა. თუ ვინმეს ჩემს ნათქვამში ეჭვი ეპარება, 350 კმ-შია ბათუმი, ჩავიდეს და გადაამოწმოს, რა პრობლემაა. ამ ბინის საფასური სააკაშვილმა ცენტრალური ბიუჯეტიდან, ანუ ჩვენი ჯიბიდან ამოიღო. ალანა გაგლოევა, ვერა ქობალია და კიდევ სხვა უამრავი, ეს ადგილობრივი „ამალა“, ჩამოდიოდნენ სტუმრებიც, მათ შორის, რუსი ქალბატონები მაგალითად, ჟურნალისტების რანგში ორი ქსენია, სობჩაკი და სოკოლოვა, რომლებიც მაღალ დონეზე ხომ „აგრიალა“ და ძვირფასი საჩუქრებითაც გაუშვა. აქეთ დოქტორი დოტი. ჟურნალისტ მანანა მანჯგალაძეს, თუ არ ვცდები სააკაშვილის პრეს-სპიკერიც გახლდათ, უამრავი ფული თუ ქონება აჩუქა.

მე ცილს არავის ვწამებ, საკუთარი თვალით ნანახზე ვსაუბრობ. ნანახი მაქვს, როგორ დაყავდა სააკაშვილს არც თუ მთლად სახარბიელო რეპუტაციის ქალები სვანეთში, მეორე „ტურისტული“ ობიექტი ყვარელი იყო. სააკაშვილი რომ ბრძანებს ყვარელში სახლი და მამული მაქვსო, ეს ქონებაც იძულებით ჩამოართვეს ერთ-ერთ ბიზნესმენს. ამ „განკულაკებას“ ორგანიზებას შს მინისტრის მაშინდელი მოადგილის, გია ლორთქიფანიძის ძმა დავით ლორთქიფანიძე უწევდა, რომელიც იმ პერიოდში კახეთის კუდ-ის უფროსის მოადგილე იყო. ადეიშვილის დავალებით მიიყვანეს იმ სახლისა და ვენახის მესაკუთრე და დაათმობინეს ეს ქონება. სხვათა შორის, ახლახანს იყო მისული ეს კაცი იქ, შემიშვით ჩემს სახლშიო, მაგრამ კახელი ნაცების ლიდერმა ბოტკოველმა და მისმა წვრილფეხობამ, ვითომ მხარდამჭერებმა, არ შეუშვეს. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ რასაც ახლა სახელმწიფო ედავება სააკაშვილს, ვგულისხმობ ცხრა მილიონსა და პარლამენტარის ცემას, ეს არის ჩვენი, საზოგადოების დაცინვა. სააკაშვილის დანაშაულებრივი ქმედებების კონკრეტულ მაგალითებს მოგიყვანთ, რის გამოც იგი, როგორც სამხედრო დამნაშავე, ისე უნდა გასამართლდეს. მან ჩვენი გმირი ბიჭებისა და მოსახლეობის ხარჯზე, მილიარდობით თანხა იშოვა, რაშიც ბიძამისი, ვითომდა „კაგებეს“ გენერალი, სინამდვილეში კი ამ სამსახურის აგენტი თემურ ალასანია ეხმარებოდა. ალასანია ძალიან დიდ სიბინძურეებშია ჩაბმული ამ მოღალატეობრივი გაყიდვების კუთხით, ის იყო სააკაშვილის ასე ვთქვათ, თავი. ბიძა-დისშვილის გარეშე საქართველოში არაფერი ხდებოდა. კოდორის ხეობის, ცხინვალის რეგიონის და საქართველოს განძეულობების გაყიდვას, პირადად თემურ ალასანია უწევდა ორგანიზებას აწ გარდაცვლი ნიკა რურუასთან ერთად. ამ უკანასკნელისა და მისი ძმის ჟორიკა (გიორგი) რურუას კისერზეა უამრავი ადამიანის სისხლია, უამრავი ადამიანი ყავთ დახოცილი, ზოგიც უგზოუკვლოდაა გამქრალი. „მხედრიონის“ ზეობისას რურუები „გრიმიტობდნენ“, მერე რაღაცა პერიოდი შეწყდა ამათი თარეში, თუმცა სააკაშვილმა ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე ამოსწია რურუები და ისინიც გაორმაგებული ძალით სჩადიოდნენ ყოვლად მიუღებელ დანაშაულობებს. მე ღიად ვითხოვ, მიხეილ სააკაშვილი სამხედრო წესით გაასამართლონ, რომლის „დამსახურებაცაა“ კოდორის ხეობის დაკარგვა, ცხინვალის რეგიონისთვის სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სტატუსის მინიჭება, ამ ადმინისტრაციული ერთეულისთვის დამატებითი ტერიტორიების ჩუქება და მერე მტრისთვის გადაცემა.







**– მოდით, უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ როგორ დაკარგა ნაცხელისუფლებამ ისტორიული დალის ხეობა.**

– მე ხეობაში 2006 წლიდან ვიყავი, იმ პერიოდიდან, როცა ბატონი ემზარ კვიციანი გააქციეს თუ გაიქცა, ისე, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ხეობაში იქამდე ვიყავი, სანამ ბოლო ქართველი ჯარისკაცი არ გამოვიდა და ის ჯარისკაცი მე ვიყავი. კარგად ვიცი, რამხელა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ამ ტერიტორიას, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იქ ჩვენი მოქალაქეები, სვანები ცხოვრობდნენ და ეს ხეობა სააკაშვილმა, ბიძია თემურმა, ბოკერიამ, ვანო მერაბიშვილმა და მისმა გენერლებმა მტერს ლანგრით მიართვეს. ერთი ტყვია არ გავარდნილა, ისე დაუტოვეს რუსეთს, იმიტომ, რომ უამრავი მილიონი ლარი თუ დოლარი „გაკეთებულიყო“. ყველა განლაგება და პოსტი ვიცი, სადაც ჩვენი დანაყოფები იდგნენ. სხვა უწყების დანაყოფებიც იყო, მაგრამ ძირითად ძალაუფლებას შსს ფლობდა, რადგან ყველა სტრატეგიული ადგილები ჩვენ გვქონდა დაკავებული. ხეობის ჩაბარებისთვის მზადება „სააკაშვილმა და კომპანიამ“ გაცილებით ადრე დაიწყო. 2006 წლის ზამთარში ხეობაში უკანონოდ შემოიჭრა რუსული ბომბდამშენი (სუ-25), რომელმაც სოფელ ჩხალთის სკოლის შენობას ცეცხლი გაუხსნა და შესასვლელი დააზიანა. ეს ბომბდამშენი სადღაც ერთი საათის განმავლობაში კიდევ დაფრინავდა აქ და სხვაგანაც ჩამოყარა ბომბები. მე და ჩემმა თანამშრომლებმა უამრავჯერ გადავეცით ცენტრს, პირადად მე ორასჯერ გადავეცი, რომ საშუალება გვქონდა ჩამოგვეგდო ეს თვითმფრინავი, მაგრამ უშედეგოდ. ჯერ ერთი მან ჩვენი საჰაერო სივრცე დაარღვია, რაც თავისთავად დანაშაულია და მეორე ამხელა ბომბები ჩამოყარა. იგივე სკოლის შენობაში ხალხი რომ ყოფილიყო, ერთი ადამიანი ვერ გადარჩებოდა ცოცხალი. მწვერვალზე ვიდექით და პირდაპირ ვუყურებდით, როგორ დაფრინავდა ეს ბომბდამშენი, უპრობლემოდ შემეძლო ჩამომეგდო. მიუხედავად ჩვენი არაერთი მიმართვისა, ცენტრიდან არავინ გამოგვხმაურებია. კოდორის ხეობის მიმართულებით შსს-დან სარდალი იყო სიმონ ქარჩაიძე, მას ევალებოდა ამ ტერიტორიისა და მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა. მან ჩვენს მიმართვებზე ერთი სიტყვაც კი არ გადმოსცა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი იყო მიშა სააკაშვილის, თემურ ალასანიას, ბოკერიას, მერაბიშვილისა და პირადი გენერლები რომ ყავდა, მათთან იყო შეთანხმებული. მთელი ღამის განმავლობაში მიდიოდა ხეობის დაბომბვა, ჩხალთაში, ქვაბჩარაში, საკენსა და სხვა სოფლებშიც ცვიოდა ჭურვები. როგორც იქნა გათენდა და ამ ბომბდამშენმა დატოვა საქართველოს ტერიტორია, რუსეთისკენ გადავიდა. ნაშუადღევს, სადღაც სამის ნახევარი იქნებოდა, სააკაშვილი ჩამოვიდა ვითომდა ძალზე აღშფოთებული, როგორც სჩვეოდა ხოლმე, „აღშფოთებული“ სახის მიღება. პირდაპირ ვამბობ, მისი ეს ვითომდა განცდები,







იყო სრული სიცრუე და აბსურდი. მთელი რვა წელი დგამდა სააკაშვილი შოუ-წარმოდგენებს, რომელთა მიღმა რიგითი მოქალაქეები, ჩვენი მეგობრები და ნათესავები იყვნენ განადგურებული. ეს რვა წელი მთლიანად დანაშაულებრივი იყო, ნაციონალებს ჩვენი ქვეყნისთვის კარგი არაფერი გაუკეთებიათ. ვინც ამას არ აღიარებს, ნაცმოძრაობის თავისი „ენჯეოებით“, ლომჯარიებითა და ა.შ. თანამოაზრეები არიან. ეს ხალხი არიან ჩვენი მტრები, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები არიან.

დავუბრუნდეთ სააკაშვილის „აღშფოთებულ ვიზიტს“, როგორც გითხარით, იგი ნაშუადღევს თავის დაცვასთან და ჟურნალისტებთან ერთად ჩამოფრინდა. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი კი დახვდა, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებლებზე მეტი ჯარისკაცები იყვნენ, ხალხი არ გამოვიდა პრეზიდენტთან შესახვედრად. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან სვანები და საერთოდ, ყველა წესიერი ადამიანი თავიდანვე უარყოფითი აზრის იყვნენ სააკაშვილზე და მალევე გაირკვა, რომ მართლებიც იყვნენ. სააკაშვილი ჩამოვიდა თუ არა, პირველად ჩხალთის სკოლაში მივიდა, ჩაატარა სამწუთიანი ბრიფინგი, ფოტოებიც გადაიღეს. სააკაშვილმა თავისი დაცვის უფროსს თემურ ჯანაშიას დაავალა, რომ ხეობელი ქალბატონები, რომლებიც შორიახლოს იდგნენ, მომიყვანე, მოსახლეობას უნდა გავესაუბროო. დაცვის წევრები რომ მივიდნენ ამ ქალბატონებთან, მათ ერთი ამბავი ატეხეს, ჩვენ სახელმწიფო დამნაშავესთან არაფერი გვესაქმებაო. ვენაცვალე მათ, ასეც უნდა მოქცეულიყვნენ. ეს საუბარი გაიგონა სააკაშვილმა, როგორ თუ ამათ უარი თქვეს ჩემთან შეხვედრაზეო, როგორც იცოდა, გიჟივით რომ გავარდებოდა ხოლმე, ასე გაიქცა ამ ხალხისკენ. რასაც გიყვებით, საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, იქვე ვიდექი, ჩემს ნათქვამს დაადასტურებს სპეცსამსახურის ბევრი თანამშრომელი. იმედია, არ დამალავენ დაცვის თანამშრომლები, იქ უამრავი მაღალჩინოსანი იყო (ყველას გვარ-სახელი ვიცი), ვინც სააკაშვილის ძალადობრივ ქმედებას უყურებდა. სააკაშვილს ერთ-ერთმა ქალმა უთხრა, შენ ხარ მოღალატე, ცუდი ადამიანიო. სვანური გვარი უთხრეს, შენი დავალებით არის ის ბიჭი მოკლულიო. ამ ვაი-მთავარსარდალმა ამ ქალს ჯერ ხელი შემოარტყა და მერე უწმაწური სიტყვებით აგინა. ბოლოს დაცვის თანამშრომლები ჩაუდგნენ შუაში და გაანეიტრალეს სიტუაცია. ტელევიზიები კი ახლდნენ სააკაშვილს, მაგრამ მხოლოდ მისი ბრიფინგი, სკოლის ბომბის დაცემის შედეგად დაზიანებული შენობა და სააკაშვილის ჩვენს სასადილოში „სტუმრობა“ აჩვენეს. სვან ქალბატონებთან საჩხუბრად რომ გაიქცა სააკაშვილი, თემურ ჯანაშია გააფრთხილა, ტელევიზიები არ წამოვიდნენო. ჩემდა სამწუხაროდ, სასადილოს კადრებში მეც ვჩანვარ, იმ დროს ვსადილობდი, როცა სააკაშვილი შემოვარდა და ჩემს გვერდით დაჯდა. მსგავსი საშინელი ჭამის მანერა არ მინახავს, სანაგვედ აქცია იქაურობა. გულისპირზე ისე ჩამოითხვარა წვნიანი, რომ დაცვამ მაშინვე გაიყვანა და მანქანაში ჩასვა. სახელმწიფო გვქვია, არსებობს პროკურატურა, საგამოძიებო სამსახური, სასამართლო. რიგითმა მოქალაქემ საკუთარ მეუღლეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა რომ მიაყენოს, მას ციხეში ამოალპობენ. მე აგერ შსს-ს თანამშრომელი ვადასტურებ, რომ მაშინდელმა მთავარსარდალმა, სვან ქალბატონებს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რაც სააკაშვილმა ჩაიდინა ეს არის სს-ის დანაშაული. არ უნდა იყოს ქვეყანაში შერჩევითი სამართალი, აგებინონ პასუხი სააკაშვილს, ამ ფაქტთან დაკავშირებითაც აღძრან სს-ის საქმე მის მიმართ. ამ ფაქტის რეალობის დადგენა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

ის, რომ ფაქტობრივად, კოდორის ხეობაზე იყო დამოკიდებული აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება- არ აღიარების საკითხი, ეს ჩემთვისაც არაერთხელ უთქვამთ ქართველ ძალოვნებს. კბილებით გვიჭირავს კოდორის ხეობა, რადგან მისი დაკარგვა, მთლიანად აფხაზეთის დაკარგვას ნიშნავსო.

სრული სიმართლეა, ჩვენ კოდორის ხეობაში იმხელა ძალა გვქონდა განლაგებული, რომ უნებართვოდ ჩიტიც ვერ შემოფრინდებოდა. რუსეთი ხომ ამხელა ბუმბერაზი ქვეყანაა, მაგრამ მასაც ძალიან გაუჭირდებოდა ხეობის აღება, თუკი სპეციალურად არ ჩააბარებდნენ იმ ტერიტორიას. როგორც გითხარით, ყველა პოსტსა და სტრატეგიულ ადგილზე ვარ ნამყოფი. ერთი საგუშაგო გვქონდა, რომელიც პირდაპირ სოხუმზე იყო მიმართული, იმხელა სიმაღლეზე ვიყავით, სოხუმს ვხედავდით. ამათ ხეობის დაცვის მაგიერ, ათეულობით მილიონი ღირებულების იარაღი, ტყვია-წამალი, ე.წ. ფაგოტები და სტინგერები (ჰაერსაწინააღმდეგო შეიარაღება), მთელი ეს ამერიკული შეიარაღება, რომელიც ჩვენი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფულით იყო შეძენილი, მტერს მუქთად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ჩააბარეს. არადა შეგვეძლო ეს ქვეყნისთვის ყველაზე სტრატეგიული ადგილი ისე დაგვეცვა, რომ ვერ შემოჭაჭანდებოდა ვერც რუსის ტანკი, ვერც თვითმფრინავი და ვერც ცოცხალი ძალა. ისეთ ვიდექით, რომ რუსი მფრინავების ჩაცმულობასაც კი ვხედავდით. ამიტომ არის კდორის ხეობის ჩაბარება, ყველაზე დიდი, სამხედრო დანაშაული, რომლის უტყუარი მტკიცებულებებიც არსებობს. ამას გიდასტურებთ და იგივეს იტყვის ყველა ღირსეული სამხედრო პირი და სხვა ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომელი. ამ ყველაფერში პირადად მონაწილეობდა მაშინდელი მთავარსარდალი მიხეილ სააკაშვილი, მისი ბიძა თემურ ალასანია, რომელიც აქტიურად თანამშრომლობდა რუსეთის სპეცსამსახურებთან. ყველა ეს ფაქტი უნდა იქნეს გამოძიებული და მკაცრად დასჯილი ყველა, ვინც ეს უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა. ეს ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი მომავლისთვის არის ძალიან დიდი ჭრილობა. ესენი არიან სამშობლოს მოღალატეები, პირადად სააკაშვილი, ასევე მაშინდელი თავდაცვის მინისტრი, ნარკომანი კეზერაშვილი, ყოფილი შს მინისტრი მერაბიშვილი. ამ უკანასკნელმა მან სააკაშვილის დავალებით გასცა ბრძანება, სიმონ ქარჩაიძეს დაავალა, რომ მთელი შეიარაღებული ძალები გამოსულიყვნენ კოდორის ხეობიდან. სვანები გვეკითხებოდნენ, შეიარაღებული ხალხი მიდიხართ და ჩვენ, უიარაღო ხალხს გვტოვებთო? ეს ჩემთვის, სამხედროფორმიანი ადამიანისთვის დიდი განცდა იყო, პასუხი ვერ გავეცი, რადგან მე არ მქონდა ის თანამდებობა, რომელიც ასეთ საკითხებს წყვეტდა. კოდორის ხეობასთან დაკავშირებით სააკაშვილმა რა დანაშაულიც ჩაიდინა, ყველაზე ცოტა, სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს, თუ არა ტრიბუნალზე გასვლას და დახვრეტას. ასე სჯიდნენ მანამდე ყველა სამხედრო დამნაშავეს. ასეულობით მილიონის ღირებულების რუსული და ამერიკული წარმოების შეიარაღება ჩააბარეს მტერს და ყველაზე დიდი დამნაშავე, მაშინდელი უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია პარლამენტში გვიზის. იმაზეც ვისაუბროთ, როგორ შეიმუშავა ნაცების ლიდერ-შიფმა ერთობლივი ძალებით დანაშაულებრივი გეგმა, სამშობლოს გაყიდვის დიდი სტრატეგია.




**— რაც შეეხება ცხინვალის რეგიონს, კოლექტიური ნაცები თავიანთ მომხრეებიანად და ჟურნალისტ-„ენჯეოშნიკებიანად“, მაშინდელი ხელისუფლების მხოლოდ იმ „შეცდომას“ აღიარებენ, იმასაც ნაწილობრივ, რომ სააკაშვილი თურმე პროვოკაციაზე წამოაგეს რუსებმა. თქვენ რას ფიქრობთ?**

— ეს ვერსია და ისიც, რომ თურმე რუსეთი შემოიჭრა და სააკაშვილი იძულებული იყო პასუხი გაეცა, არის სრული აბსურდი. პირდაპირ ვამბობ, ეს ყველაფერი განზრახ მოხდა, არავითარი შემოჭრა, რუსეთის ხელისუფლებასთან იყო ყველაფერი შეთანხმებული და განგებ ჩააბარეს კოდორიც და ცხინვალის რეგიონიც რუსებს ამ კრიმინალებმა. არავითარი 8 აგვისტო, ომი ამ დროს დაიწყოო, რომ გვასაღებენ. მე გეუბნებით და ორასი თანამშრომელი მაინც დაადასტურებს, რომ 2008 წლის 5 აგვისტოს, ნაძირალა მამუკა ყურაშვილმა, მიმართულების სარდლად რომ ყავდათ, სააკაშვილის დავალებით, ქართულ მხარეს რუსი სამშვიდობოების საგუშაგოებისთვის ცეცხლი გააზხსნევინა. ისიც ვიცი ვინ ისროლა. რომ ამბობენ ოსური მხარე გვბომბავდა, სხვა იარაღიდანაც გვესროდნენო, ეს გამორიცხულია, არავითარი სროლები და პროვოკაცია არ ყოფილა ცხინვალის მხრიდან. გეკითხებით, საერთოდ რაში ჭირდებოდა რუსს პროვოკაცია? აქედან დავიწყოთ. რაო, ეშინოდა ჩვენი და ძალებს გვისინჯავდა? ეს ნაცმოძრაობის ეს ვითომდა მიზეზები არის სიცრუე. სინამდვილეში ეს იყო რუსეთის მაღალ ეშელონებთან ერთად დაგეგმილი, პუტინზე არ მაქვს საუბარი, მაგრამ იყვნენ გენერლები, ვიღაც მრჩევლები, ერთიანი ძალების შეთანხმებული, რომ დადგმულიყო სპექტაკლი, არავითარი ომი და რაღაც. სამაჩაბლოში ეს სპექტაკლი კი იმიტომ დადგეს, რომ სააკაშვილს, ნარკომან კეზერაშვილს, უშიშროების საბჭოს მდივან ბოკერიას დიდი ფული ეშოვათ და იშოვეს კიდეც მილიარდები. ცნობისთვის, არავინ საუბრობდა არც მაშინ და არც ახლა, 2006 წელს კოდორის ხეობა რომ დაიბომბა რუსი მფრინავის მიერ, ხოლო 2008 წლის 5 აგვისტოს გამთენიისას, ჩვენმა ჯარისკაცებმა ვითომდა მშვიდობისმყოფელ ყურაშვილის დავალებით, რუს სამშვიდობოებს, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ 19–20 წლის ჯარისკაცებს ცეცხლი რომ გაუხსნეს. ყურაშვილი რომ თავისი ინიციატივით არ გასცემდა ამ ბრძანებას, ორი აზრი არ არსებობს. მე რუსებს ხელს კი არ ვაფარებ, იმას ვამბობ, რაც სიმართლეა. ეს ყველაფერი უნდა გაირკვეს და სასამართლო განხილვის საგანი უნდა გახდეს. ყველა ის პერსონა, რომელმაც ორგანიზება გაუკეთა ამ სისხლიან ტრაგედიას, სამუდამო პატიმრობით უნდა იყოს დასჯილი. არავითარი შეწყალება და ამნისტია, ეგენი ციხეში უნდა დალპნენ და დაიხოცონ. ქართველმა მეფეებმა საკუთარი თუ შვილების სიცოცხლის ფასად შეინარჩუნეს ჩვენი ტერიტორია, ამათ კი, სააკაშვილმა, ყურაშვილმა და მათმა მსგავსებმა რუს გენერლებთან და კრემლია მრჩევლებთან შეთანხმებით დაგვაკარგვინეს ამდენი ტერიტორია, ხოლო ხალხი დევნილებად აქციეს. ეს ხალხი, რომლებსაც წლების განმავლობაში სისხლი და ოფლი ჰქონდათ ჩაქცეული უძრავ-მოძრავი ქონების შექმნაში, იძულებული გახდნენ ყველაფერი მიეტოვებინათ და გამოქცეულიყვნენ, რომ ცოცხლები გადარჩენილიყვნენ. რამხელა თანხები იყო გათვლილი დევნილებზე და სად შეასახლეს, გეტოებში, ეს კიდევ ცალკე თემაა. დროშებითა და პურმარილით იყვნენ ჩასულები, რომ ვითომ ომს რომ მოიგებდა სააკაშვილი, ზეიმით უნდა შესულიყვნენ ცხინვალში. ჩაყვანილი ყავდათ ტელევიზიები, განსაკუთრებით „რუსთავი-2“ აქტიურობდა, პირდაპირ ეთერში აჩვენებდნენ ყველაფერს, ეს კიდევ ერთი დანაშაულია, როცა როცა „რუსთავი-2“-ის ოპერატორი მიგყავს და პირდაპერ ეთერში აჩვენებ სად დგას შენი ქვეყნის ძალოვანი დანაყოფები და რა შეიარაღება აქვთ. ე.ი. კოორდინატებს აწვდი მტერს, რომ დაბომბონ და გაანადგურონ ჩვენი სამხედრო შენაერთები.

**— სამშვიდობოების პოზიციებისთვის ცეცხლის გახსნას, ის ქვეყნები რომლებსაც წარმოადგენენ ეს ჯარისკაცები, აპატიებდნენ „ცეცხლის გამხსნელს“, ამ შემთხვევაში სააკაშვილს?**

— არავითარ შემთხვევაში არ აპატიებდნენ, ეს სს-ის დანაშაულია, ის ჯარისკაცი დგას გამყოფ ე.წ. საზღვარზე, რომ დაპირისპირებულ მხარეებს შორის შეტაკება არ მოხდეს, რატომ ესვრი? გიმეორებთ, რუსეთის სამშვიდობოების წარმომადგენლები ჩვეულებრივი ჯარისკაცები იყვნენ, არავითარი სპეცდანაყოფი და განსაკუთრებული ჯგუფი. 2008 წლის 5 აგვისტოს, გამთენიისას, ხუთს აკლდა ათი




წუთი, იმ დროს ესროლეს ყურაშვილის დავალებით ჩვენმა დანაყოფებმა ცისფერჩაფხუტიანებს. ეს იყო განზრახ გაკეთებული, სააკაშვილმა სპეციალურად გააკეთა. თუ სადმე რაიმე დანაშაული იყო ჩადენილი, სააკაშვილი ყველაფრის საქმის კურსში იყო. იგივე 2006 წლის დასაწყისში, ვითომ ბუნტი რომ მოხდა ორთაჭალის ციხეში, ესეც წინასწარ იცოდა, რადგან მის გარეშე არაფერი ხდებოდა. ის არის პირდაპირი ორგანიზატორი 2008 წლის ომის და ორი ბრალდებით უნდა გასამართლდეს, როგორც სახელმწიფო და როგორც სამხედრო დამნაშავე, რაც მან ჩაიდინა, ეს არის კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# შუშა კიტრი



კიტრს ვეღარ ვყიდითო, იფეთქეს მარნეულში, ჩაატარეს აქცია და გადაკეტეს გზა. თან ერთად შეიყარნენ, არც კორონა გვაინტერესებს, არც ვირუსი და არც არაფერიო, მარტო კიტრიო. აქციას „ნაცები“ კურირებდნენ. არაო, ჩვენ „ევროპულსაქართველოელები“ გახლავართო, მაგრამ მაგას ვინ დაიჯერებს? მაინც ერთნი არიან. აჰმედ იმამ ყულიევი აქტიურობდა და ვიღაც აზერ სულეიმანოვი, რომელიც 12 წელიწადი პარლამენტში მჯდარა. მოკლედ, კიტრივით რომ აღარ გავაგრძელო, მარნეულელებმა, კიტრიო... და თან მი-შა, მი-შა, მი-შაო!

შე აკარაკო, თუ კიტრი გაქვს გასაყიდი, ვერ ყიდი და ამას აპროტესტებ, მიშა რა შუაშია? ოოო... შუაში კი არა, თავშია, ვითარცა შუშა კიტრი, ის აქეზებს ჯერ ყულიევებს, სულეიმანოვებს, შემდეგ კი მარნეულელ აზერებს. გინდათ, გითხრათ, რა მოხდებოდა, სააკაშვილი რომ



კვლავ ხელისუფლებაში ყოფილიყო? ჯვარი აქაურობას და... ეს ქლივრის კურკა „გეპეის“ ლექტორებსაც კი შეასყიდინებდა. გამოვიდოდა ტელევიზორში და გამოაცხადებდა, სულ არ მაინტერესებს, იყიდეთ კიტრი და თუ გინდათ, ბებიათქვენებს გაუკეთეთ უკანო. თან ფასსაც დადებდა, ამდენ და ამდენ ლარად უნდა შეისყიდოთო – საშუალო ფასი 1 ლარი იქნებოდა კილოზე. თქვენ წარმოიდგინეთ, ხმასაც არავინ ამოიღებდა, იყიდიდნენ, წაიღებდნენ „მეშოკებით“ სახლებში ან საცავებში, ჩადებდნენ მწნილად და მოგვიანებით იტყოდნენ, თანამშრომლებს გავუნაწილეთო, ძაან მაგარი ყოფილა კიტრის მწნილიო, მომავალ წელს კიდევ ავიღებთო. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე იქნებოდა, როგორც წლების წინ იყო ყურძნის ამბავში, უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებს რომ დააწურინეს. ალბათ გახსოვთ, იმ პერიოდში ირაკლა ოქრუაშვილი ავტომატით დარბოდა, კახელებს ემუქრებოდა, აქციები და ეგეთი რაღაცები არ გაბედოთ, თორემ დედებს მოგიტ...ნავთო!

და მაინც... სად კიტრი, სად – მიშას ყურებიანი ქუდი? სად არის ლოღიკა? იიიჰ... ძალიან გთხოვთ, ამათგან ლოღიკას ნუ ითხოვთ. სადაც ინგუშები ამტკიცებენ, სააკაშვილი ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი უნდა იყოსო, რა გასაკვირია, ორიოდე ვირეშმაკისეულმა მარნეულელი აზერები გადარიოს კიტრის გამო? არ ვხუმრობ, აგერ ოფიციალური ინფორმაცია: მას შემდეგ, რაც ინგუშმა სამოქალაქო აქტივისტებმა გაიგეს, სააკაშვილი უკრაინის მთავრობაში ვიცე-პრემიერად ნიშნავენო, დასწრების ამბავში განაცხადეს, ეგ ჩვენი პრემიერი უნდა ყოფილიყო, ზელენსკის არაკაცურად გამოუვიდაო.

მოდით, ცოტა წავიფანტაზიოროთ: დავუშვათ, მართლაც გახდა სააკაშვილი ინგუშეთის პრემიერ-მინისტრი, ამ შემთხვევაში ის უნდა დაემორჩილოს ვლადიმირ ვლადიმიროვიჩს თუ დამოუკიდებლობა გამოაცხადოს? მე უფრო მეორე ვერსია მგონია სანდო – სადაც მიშაა, იქ არის თავისუფლების ზეიმი... მეტი საქმე არ აქვს, პუტინის ხელქვეითი იყოს და მისი ბრძანებები ასრულოს. მეორე და მთავარი საკითხი: რატომ ჰგონიათ პატივცემულ ინგუშებს, რომ სააკაშვილი კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი რაინდია? რატომ არავინ გაანათლებს ამ პატივცემულებს, რომ საქმე პირიქითაა? რატომ არავინ აუხსნის მათ, ვინ არის სააკაშვილი, რამდენი ღირსეული ადამიანი ჰყავს გაუპატიურებული, მოკლული და რამდენი მილიონი დოლარი აქვს წაღებული საქართველოდან? პრინციპში, ეგ უკრაინელებმა ვერ გაიგეს (თუ არ უნდათ გაგება) და ინგუშები რანაირად გაიგებენ?

სააკაშვილი ვირეშმაკობითაა შეპყრობილი, სანამ უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი ვიცე-პრემიერობას შესთავაზებდა, საქართველოს მთავრობას შემოუგდო თხოვნა (თხოვნაც არ იყო), მომეცით ხელისუფლების დროებითი წარმომადგენლის სტატუსი და გპირდებით, იმდენ დახმარებას ჩამოვიტან, ეკონომიკა გადარჩესო:

„მე მზად ვარ, ჩვენი იურიდიული კამათი გადავდოთ მომავლისთვის, დავაწესოთ მორატორიუმი შემოდგომამდე, შემოდგომის შემდეგ გააგრძელეთ ჩემი იურიდიული პროცესები, გამასამართლეთ პიჯაკებზე, იმაზე, ამაზე, მაგრამ მანამდე გამოაცხადეთ მორატორიუმი და მე გაძლევთ გარანტიას, რომ თუ 5 მილიარდნახევარს არ ჩამოვიტან, იმდენს ჩამოვიტან დახმარებას რომ საქართველოს ეკონომიკა გადარჩეს“.

ეს ტიპი მაგარი ვირეშმაკა რომ არის, ეგ ცხადია, მაგრამ ხშირად წაუდებილებს კიდეც. მოდითო, პიჯაკებზე მერე ვიდავოთო, ახლა კი გამომიყენეთ, ოფიციალური მოწმობა მომეცით და უცხოეთიდან ფულებს ჩამოგიტანთო.

ფულებსაო, ხალხო, ფულებსაო, გაიგონეთ?!

2008-ში რომ შემოიტანა კი არა და... აშუშუელები და ევროპელები რომ დაგვეხმარნენ 4 მილიარდი დოლარით, სად წაიღო, მარტო ბიძამისმა თემურ ალასანიამ იცის. „დაჟე“ სანდრასაც არ ეუბნებიან. ჰო, აეგრე, არ ეუბნებიან, შარშან ბრუკლინის სახლის გასაღები რომ დაუმალეს, გახსოვთ, ხომ? მერე თემურ ალასანიამ გადმოურეკა თავის ცოლს თბილისში და ეუბნება: ჩამოვლენ ხოლმე, დედაკაცო, ეს ჰოლანდიელები, ჭამენ, სვამენ, დაყრიან ნაგავს, მერე მე ვიხდი ფულს, აქედან რომ გაიტანონო. უთხარი მაგ ასეთს და ისეთს, აქ აღარ ჩამოვიდესო. სანდრა კიდევ ზის ზუგდიდში და თავი სამეგრელოს დედოფალი ჰგონია.

ჰოდა, იმას ვამბობდი... უკრაინელი მიხო იძახის, გამომიყენეთო, ბოლოს და ბოლოს, დონალდ ტრამპი მაქებდა მსოფლიო მასშტაბითო. ტყუის, ეს დამპალი, ტრამპი კი ჩამოვიდა მაგის პრეზიდენტობისას, მაგრამ ჩამოვიდა როგორც ბიზნესმენი, თითქოს ბათუმში სასტუმრო უნდა აეშენებინა, მაგრამ ეგეც გადაიფიქრა. დავუშვათ, თავის დროზე ასეც იყო, რა შუაშია ახლა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, რომელსაც თავისი გასჭირვებია? გარდა ამისა, უკვე ვიცით, ეს ქვეყანა ისედაც გვეხმარება ოფიციალურ დონეზე. ყველაზე სასაცილო კი ის არის, რომ ბიძინა ივანიშვილის „სასტავს“ ეუბნება, თქვენ არავის იცნობთ, აზრზე არ ხართ, არავინ დაგეხმარებათო. საერთოდ, დედამიწის ზურგზე ყველას და ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი, მაგრამ ამ ნამუსგარეცხილზე ეს კანონი არ ვრცელდება!

ჰმ... მოდით, მორატორიუმი გამოვაცხადოთო, კიდევ აქეთ აყენებს ულტიმატუმს შუშა კიტრი, თუ ასე და ასე მოიქცევით, ეკონომიკას გადაგირჩენთო. ვაი, ვაი, ვაი... მაგისი გადარჩენილი ეკონომიკა არ გაიშვა მარნეულის ბაღ-ბოსტნებამდე!

მიხო, როგორც „ნაცები“, ყრიან ჭორებს, თითქოს ივანიშვილის ხელისუფლება მას პიჯაკებს, უკუღმა შეკერილ შარვლებს, პალტოებსა და საღეჭ ჰალსტუხებს (ყლინჯებს) ედავება. აკი ამბობს კიდეც, ამ ყველაფერზე მორატორიუმი გამოვაცხადოთო. არადა, ამ შუშა კიტრს ბრალად ედება მთელი ქვეყნის გაუპატიურება, ბიზნესის დატერორება, უამრავი მკვლელობა, წამება და ასე შემდეგ. კიდევ ერთხელ ჩამოგითვალოთ? კი, ბატონო... სანდრო გირგვლიანი, ბუტა რობაქიძე, ბადრი პატარკაციშვილი და ქუჩაში ჩაცხრილული 150 ახალგაზრდა... სიკვდილამდე ნაცემი ვალერი გელაშვილი. ღამის 3 საათზე ხალხის წამოყრა, ნოტარიუსებთან მიყრა და ყველაფრის გადაფორმება ვითომ სახელმწიფოს სასარგებლოდ. დიახ, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა დედამიწის ზურგზე, სადაც ადამიანებს ღამის 3 საათზე ულვივდებოდათ პატრიოტული გრძნობები და უჩნდებოდათ სურვილი, მთელი ქონება სააკაშვილ-ადეიშვილ-ბოკერიასთვის ეჩუქებინათ. აღარაფერს ვამბობ თახსირ ოქრუაშვილზე, მერაბიშვილზე, უგულავასა და სხვებზე.

უკრაინის რადაში კიტრი სააკაშვილი (პირველ ეტაპზე) ვიცე-პრემიერად ვერ დაამტკიცეს, ხმების რაოდენობა არ ეყო, პრეზიდენტ ზელენსკის ფრაქციაშიც კი უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავს. თუმცააა... აი, მოვიდა ინფორმაცია, რომ უკრაინის მინისტრთა კაბინეტმა უმაღლესი რადადან მიხეილ სააკაშვილის ვიცე-პრემიერად დანიშვნის ინიციატივა გაიწვია.

მოიცადეთ, აქ ცოტახანს უნდა ვიცინო... ესე იგი, რა გაუთამაშეს ამ უპატრონო მაწანწალას? ზელენსკიმ რაღაცა შესთავაზა, ან არაფერიც არ შესთავაზა და თვითონ გაახმაურა ყალბი ინფორმაცია. ავი ენები ამბობენ, მინისტრთა კაბინეტიდან უმაღლეს რადაში არანაირი ინიციატივა წარდგენილი არ ყოფილაო. ყოველ შემთხვევაში, უკრაინის პრეზიდენტს არც თავში გაუკეთებია რაიმე სახის განცხადება და არც ბოლოში. როგორც ჩანს, მას კი დაავალეს, შუშა კიტრი დაასაქმეო, მაგრამ ვერ დაასაქმა, იქით უკრაინაში ატყდა ამბები, აქეთ საქართველოს ხელისუფლებამ გამოთქვა პროტესტი, მაგას მისჯილი აქვს, ციხეში უნდა იჯდეს, რა თანამდებობა, რის თანამდებობაო? და მართლაც... რა ვიცე-პრემიერობა, რომელი ატმი კურკა?!

ბოლოს იგივე ავი ენები ალაპარაკდნენ, შუშა კიტრს ზელენსკის ადმინისტრაციის „ზავხოზის“ მოადგილეობა შესთავაზესო. აი, ეს კი იუკადრისა და სოცქსელში განმარტება გამოაშვანშვალა:

„ჩემი პატივისცემის მიუხედავად, მე, მიხეილ სააკაშვილს არ შემიძლია ვიყო პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე. მადლობა შეთავაზებისთვის, თუმცა ზელენსკის ჩემთვის ეს თანამდეობა არ შემოუთავაზებია. მე თანამდებობებს არ ვითხოვ და ცხოვრებაში უსაქმოდ არ დავრჩები. უბრალოდ, არ მინდა მშვიდად ვუყურო, როგორ შეიძლება დაზარალდეს უკრაინა მოახლოვებული ცუნამისგან“.

რა ცუნამზე ლაპარაკობს, ეს ჩემისა? ესე იგი, თუ მას არ დანიშნავენ ვიცე-პრემიერად, უკრაინას ცუნამი წალეკავს. ხედავთ, როგორი წარმოდგენა აქვს საკუთარ გოგროხა თავზე? უმაგისოდ საქართველო ხომ დაიღუპა, ახლა უკრაინა იღუპება, ამ დროს კი ყოვლისშემძლე კიტრი ზის და ელოდება, როდის ანდობენ ქვეყნის სადავეებს. ბოლოს და ბოლოს, დონალდ ტრამპიც კი ლაპარაკობდა მასზე, როგორც უპირველეს რეფორმატორზე, აღარაფერს ვამბობ ჯორჯ ვაშინგტონსა და თომას ჯეფერსონზე.

მოკლედ, ბატონებო და ქალბატონებო, კიტრი კიტრია, გინდა შუშა იყოს, გინდა – „პიკური“, გინდა მარნეულის სათბურში იყოს ჩამოკიდებული, გინდა – კიევში!

დიახ, კიტრი კიტრია... და მას შუშა იმიტომ ვუწოდე, რომ უბრალოდ გრძელია!

აი, აქ კალმის (კლავიატურის) გადადებას ვაპირებდი, მაგრამ კიდევ ერთი ახალი ამბავი რომ არ შეგატყობინოთ, არ იქნება. რამდენიმე ე.წ. ოპოზიციურმა პარტიამ უკრაინის პრეზიდენტს, უმაღლეს რადას და უკრაინელებს წერილი გაუგზავნა. წერილის პათოსი ასეთია: „უკრაინაში მიხეილ სააკაშვილის მნიშვნელოვან თანამდებობაზე წარდგენა დააახლოებს ორ მეგობარ სახელმწიფოს“. ნუ იცინით, ჩვენს გამოყ...ევებულ ოპოზიციას ასეთი მრავალფეროვანი აზროვნება აქვს... ნუ, ეხლა ვაშაძეებისგან, ქარდავებისგან და მაჭუტაძეებისგან სხვას რას ელოდებით?

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61



# გლდანის ეკლესიის დარბევის დროს სოროსი და სააკაშვილი ერთად ისხდნენ ერთ-ერთ რესტორანში და თვალს ადევნებდნენ, როგორ აწიოკებდნენ ბანდიტები ღამენათევ მრევლს

*გვესაუბრება ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი ბასილ მკალავიშვილი*

**— მამა ბასილ, ამ ინტერვიუს რომ ვწერთ, უკრაინაში საუბარი მიდის სააკაშვილის დანიშვნაზე უკრაინაში მაღალ თანამდებობაზე. რას ფიქრობთ, ეს სამართლიანია?**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

ჩვენთან არს ღმერთი.

უპირველესად დავიწყებ იმით, რომ მიხეილ სააკაშვილი ამერიკელი სატანის მოციქულის ჯორჯ სოროსის მიერ იყო მოვლინებული საქართველოში მართლმადიდებლობის აღმოსაფხვრელად. მისი სიტყვებია: „მე საქართველოში ექსპერიმენტი ჩავატარეო“.

2003 წელს მე და ბატონი გურამ შარაძე ხშირად ვბჭობდით, რომ საქართველო კაციჭამიების ხელში იყო. ხშირად ვაწყობდით მშვიდობიან აქციებს მთავრობების სასახლის წინ. სამწუხაროდ, ხალხს ჩვენი არ ესმოდა, ყურმოჭრილი მონებივით გაყვნენ მიხეილ სააკაშვილს.

სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე დაუმტკიცა სოროსს ერთგულება და პირველი იერიში სარწმუნოებაზე მიიტანა. 2004 წლის 12 მარტს ჩვენი ეკლესია ბარბაროსულად დაარბია. დარბევის დროს თვითონ სააკაშვილი და ჯორჯ სოროსი ამერიკაში ერთ-ერთ რესტორანში ისხდნენ და ერთად უყურებდნენ ღამენათევი მრევლის უმოწყალოდ დაწიოკებას, პირდაპირ ეთერით, მათთვის სათაყვანებელი „რუსთავ-2“-დან.

სააკაშვილს ჰყავდა ზონდერჯგუფები. ამ დაჯგუფების ლიდერები ხშირად იკრიბებოდნენ შავნაბადას რეზიდენციაში. იქ იგეგმებოდა შავბნელი საქმეები: ვინ როდის დაეყაჩაღებინათ, ვინ როდის მოეკლათ და დაეწიოკებინათ. ამ ქართველთმოძულე დაჯგუფებაში გაერთიანებული იყვნენ სისხლისმღვრელი სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, ძმები ახალაიები, გიგა ბოკერია და სხვები.

ჯალათმა სააკაშვილმა და მისმა ბოროტმოქმედთა ჯგუფმა ციხეები აავსო უდანაშაულო ხალხით. ენით აუწერელი ხერხებით აწამებდნენ დაუცველ პატიმრებს. შეურაცხჰყოფდნენ მათ პიროვნებას. უგზო-უკვლოდ იკარგებოდა უამრავი პატიმარი. 8 აგვისტოს ომში გაიჟლიტა ათასობით ქართველი ვაჟკაცი.

ამჯერად, უკრაინაში ვიცე-პრემიერის სავარძელს ეპოტინება. მე ინტერვიუებში ადრეც აღვნიშნავდი, როდესაც ის ოდესის გუბერნატორი იყო: უკრაინას თავდაყირა დააყენებს-მეთქი და ასეც მოხდა.

დიახ, ამჟამად კვლავ თანამდებობაზე ოცნებობს, მაგრამ, უკრაინელი ხალხი ბრძენია და ისინი მხარს არ დაუჭერენ სააკაშვილის კანდიდატურას.

**— ყველას გვახსოვს 7 ნოემბერი, 26 მაისი, „იმედის“ დარბევა, თქვენი ეკლესიის აოხრება, მრევლის ცემა და დაპატიმრება, რამდენი ჩამოვთვალო? მათი ავტორი, უკვე ყველამ იცის, რომ მიხეილ სააკაშვილია.**



— ამაზე უკვე ნაწილობრივ გესაუბრეთ და უნდა გითხრათ, გაუთავებლად არ შეიძლება ბოროტ სულზე საუბარი. ერთს კი დავამატებ, მას იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი ქართველი ხალხის მიმართ, აუცილებლად დაისჯება ღვთისგან. მიხეილ სააკაშვილი საქართველოდან გატანილი ფულიდან იმდენს ხარჯავს ქრთამის სახით, მასზე საერთაშორისო ძებნა არ გამოცხადდეს, რომ ჩვენი ქვეყნის მთლიანი ბიუჯეტი არ იქნება იმ ქრთამის ტოლფასი. ეს გარეწარი განსაკუთრებით შეკრულია ინტერპოლის ხელმძღვანელობასთან. ასევე მას დიდი მხარდაჭერა აქვს ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან. სწორედ მათი ინიციატივითა და შუამდგომლობით ითხოვდა უკრაინის პრემიერ-მინისტრის თანაშემწის სავარძელს.

კვლავ შეგახსენებთ, ციხის ბუნტის დროს პირსისხლიან სააკაშვილთან შეთანხმებით მისმა უერთგულესმა ბოკერიამ ჩახოცა 8 პატიმარი. მაშინ ციხის საავადმყოფოში ვიმყოფებოდი. ზეწრებს ვხევდით და ჭრილობებს ვუხვევდით დაჭრილებს. გარდაცვალილებს ვარჩევდით მომაკვდავი პატიმრებისაგან. ბართლომეს ღამე იყო. ამიტომ ქართველი ხალხი და მათთან მე, ვერ შევეგუებით იმას, რომ ჩვენს თანამოძმეთა სისხლში ამოსვრილი სააკაშვილი და ბოკერია სათანადოდ არ დაისჯებიან.

**— თქვენი აზრით, რატომ არ დაისაჯა საკადრისად მიხეილ სააკაშვილი, რატომ აგვიანებს სამართალი მის წინაშე?**

— მე ღვთისმსახური ვარ და ვიცი, ყველა ცოდვილს და არაკაცს, მათ შორის, სააკაშვილს, საქაოში თუ არ მიეზღვება, ღმერთი სასტიკ სასჯელს უეჭველად უმზადებს სამუდამო სასუფეველში. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, ის უდიდესი ერისკაცია და ამაოდ ერჩიან მას ამ ქვეყნის მოძულენი.

საქართველოს დღეს ისე უჭირს, როგორც არასდროს. ჩვენ ქრისტიანები ვართ და სიმართლე უნდა ითქვას: ადრე თუ ნაციონალები გაიძახოდნენ, რატომ არ ეხმარება ივანიშვილი ვირუსით დაავადებულებსო, ახლა, როცა ბატონმა ბიძინამ სოლიდური თანხა გადარიცხა, იმას არკვევენ, საიდან გადარიცხაო.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გრანდიოზული ტაძრის მშენებლობაში, მოპირკეთებაში, მოხატვაში არანაირი დახმარება არ გაუწევია ბატონ ბიძინას, მე პირადული ინტერესებიდან არასოდეს გამოვდივარ. ჩვენი სალოცავი ტაძარი რა მოსატანია, როცა ბატონი ბიძინა ჩვენს სახელმწიფოს ეხმარება, როცა კეთდება ერის, ჩემი სამშობლოს სასიკეთო საქმე, ეს ძალიან მახარებს და კმაყოფილი ვარ.

ღმერთმა მისცეს შესაძლებლობა მას, აკეთოს საქართველოსთვის კეთილი საქმე, რამეთუ ჩვენი ქვეყანა და მისი განსაცდელი ყველას სატკივარია.

**— არ შემიძლია არ გკითხოთ: საპატრიარქოს მოწოდებით აღდგომის დღეებში საქართველოში ეკლესიები არ უნდა დაკეტილიყო, მაგრამ ზოგიერთი ეკლესია მაინც დაკეტეს. რას ნიშნავს ეს — საპატრიარქოსადმი დაუმორჩილებლობას თუ ურწმუნოებას?**

— კორონა ვირუსის გავრცელება დაემთხვა დიდი მარხვის პერიოდს, განსაკუთრებით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

მე მივესალმე მთავრობისა და ეკლესიის შეთანხმებას იმის საფუძველზე, რომ ეკლესიები არ დაკეტილიყო: ამ გადაწყვეტილებით მთავრობამ დაადასტურა ის, რომ წარსული საუკუნეების განმავლობაში, ჩვენი ქვეყანა უამრავ ჭირს და ვარამს მხოლოდ ლოცვით გადაურჩა, თუმცა მედიცინის მუშაკთა ზოგიერთი წარმომადგენელი პირდაპირ მოუწოდებდა, ეკლესიაში არ წასულიყო ხალხი.

სამწუხაროდ, ზოგიერთმა ეპისკოპოსმა და ეკლესიის წინამძღვარმა მაინც დაკეტა ეკლესია აღდგომის ღამეს. მე ამ საქციელს დაუმორჩილებლობას ვერ დავარქმევდი, რამეთუ თუ ღვთის მსახური მთელი არსებით იცავს ქრისტეს მცნებებს, ის ასეთ მძიმე დღეებში ეკლესიას არ დაკეტავდა. მე ამ საქციელს ურწმუნოებას დავარქმევდი.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის აღორძინება გადაარჩენს!



დღესდღეობით ჩვენი ქვეყნისათვის პირველი რიგის ამოცანა, რომ მოსახლეობის **ჯანმთელობის დაცვა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაა,** მადლობა ღმერთს, სადავო აღარ არის.

ჩვენდა საუბედუროდ, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მოყოლებული, აგრარული სფეროს მიმართ დამოკიდებულება მკვეთრად უარესდებოდა, თავიდან უგუნურობით, შემდგომ დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად. მაგრამ იუდა ბენდუქიძის პოლიტიკამ - „საქართველოში სოფლის მეურნეობა არაა კონკურენტუნარიანი, ამიტომ ფეხებზე დავიკიდოთო“ - საქართველო საბოლოოდ უფსკრულში გადაჩეხა. დღეს მოხმარებული სასურსათო პროდუქციის 80%-ზე მეტი იმპორტულია, რაც დიდ რისკებთანაა დაკავშირებული და საფრთხეს უქმნის ჩვენ ქვეყანას, მის მომავალს. გაეროს რეზოლუციით იმ ქვეყნის სასუსათო უსაფრთხოება რისკის ქვეშ დგას, თუ მოხმარებული სუსათის 20 %-ზე მეტი იმპორტულია. საუბედუროდ ეს ხდება მაშინ, როდესაც საქართველოს აქვს ხელსაყრელი ბუნებრივი, კლიმატური პირობები და ინტელექტუალური პოტენციალი, რათა ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ შექმნილი ახალი მაღალი ხარისხის ჯიშებით და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით არა მარტო დააკმაყოფილოს საკუთარი მოსახლეობის მზარდი მოთხოვნები ეროვნული წარმოების, ბიოლოგიურად სუფთა სასუსათო პროდუქციით, არამედ უზრუნველყოს მისი ექსპორტიც და ექსპორტ-იმპორტის სალდოს მნიშვნელოვნად გაუმჯობესება, როგორც ეს შეძლო ჩვენსავით მცირე, ჩრდილოეთის ქვეყანამ ნიდერლანდებმა, მსოფლიოში აგრარული პროდუქციის უმსხვილესი ექსპორტიორი გამხდარიყო.

ჩვენ, - „საქრთველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების კავშირმა“, (ს/კ 400177651,08.06.2016) რომელიც დაფუძნებულია: ყოფილი სოფლის მეურნეობის პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-მუშაკთა, დარგის ცნობილ მეცნიერთა, პროფესიონალ-პრაქტიკოსთა, ფერმერთა და ეკონომისტთა სამივე თაობის წარმომადგენლების მიერ, რომლის მიზნები და ამოცანები გამომდინარეობს არსებული გამოწვევებიდან, მივიღეთ გადაწყვეტილება დავაფუძნოთ - **„საქართველოს აგრარული აღორძინების პარტია“ რომელიც ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის კომპლექსურ აღორძინებას, შესაბამისი ინფრასტრუქტურების განვითარებას.**

მთავრობამ მნიშვნელოვანი სუფსიდირება და მკაცრი რეგულირება უნდა განახორციელოს სოფლის მეურნეობის იმ სტრატეგიული დარგების ასაღორძინებლად, როლებიც უზრუნველყოფენ ჩვენი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას, რისთვისაც პარლამენტს და მთავრობას წარვუდგენთ იმ ცვლილებების ნუსხას კანონმდებლობაში და სამთავრობო სტრუქტურებში, რაც აუცილებელი იქნება ამ დარგების სისტემური კრიზისისგან თავის დასაღწევად.

დასაფუძნებელი პარტიის პროგრამული დასკვნები და დებულებები საჯაროდ არის გამოცხადებული მასმედიისა და ელექტრეონული ქსელების მეშვეობით. პირადად გავაცანით: საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ მინისტრს პარლამენტის თავჯდომარეს, მმართველ პარტიას. ვიმედოვნერთ, რომ ჯეროვან ყურადღებას დაგვითმობენ.

საქართველოს აგრარული აღორძინება განხილული უნდა იქნეს, როგორც ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა, რათა საქართველო ჩამოყალიბდეს აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად, რომლის განხორციელების შედეგად მიიღწევა ჩვენი უმთავრესი მიზნები:სოფლის აღორძინება,მიგრაციის შეჩერება, სასურსათო თვითუზრუნველყოფა, ქალაქსა და სოფელს შორის ცხოვრების ხარისხის დაახლოება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, ეროვნული ვალიუტის დასტაბილურება,ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება და რაც მთავარია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა.

**- სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის აღორძინება გადაარჩენს საქართველოს - ველით თქვენ მხარდაჭერას!!!**

**მურმან ქურიძე**

კავშირის თავმჯდომარე ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი;

კავშირთან თანამშრომლობენ: აკადემიკოსები: **ნოდარ ჭითანავა, პაატა კოღუაშვილი, თამაზ კუნჭულია;** მეცნიერებათა დოქტორები: **რამაზ გახოკიძე** (სახელმწიფო პრემიების ლაურიატი), **მიხეილ ჯიბუტი, ანზორ მესხიშვილი** (ექსპერტი მიწის საკითხებში), **ნიკოლოზ სულხანიშვილი; გოჩა ცოფურაშვილი** – სოფლის მეურნეობის აკადემიის ექსპერტები; **ირაკლი გოგავა** – საერთაშორისო ექსპერტი სოციალურ საკითხებში; **შოთა მაჭარაშვილი** – ჟურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ რედაქტორი; **ირინე ფხოველიშვილი** - საქართველოს ფერმერთა პროფკავშირების პრეზიდენტი.

**საკონტაქტო ტელეფონი: 599 93-40-40**

# ამ ვითომ პროდასავლური ოპოზიციის დიდი ნაწილი, სინამდვილეში, რუსული აგენტურაა

*გვესაუბრება კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა:*

**— ბატონო გოგა, ოპოზიცია მუდმივად საუბრობს, თითქოს, ივანიშვილი რუსული პროექტია და რუსეთის ორბიტაზე გვაბრუნებს. პარადოქსია, რომ ამ „საშიშროებაზე“ მაქარაშვილი, მშვილდაძე, გრიგოლ ვაშაძე, სააკაშვილი და ა.შ. გვესაუბრებიან. რა ხდება?**

— ამ ინფორმაციის გავრცელება, ძირითადად, მედიით ხდება. თუ გავითვალისწინებთ მარგინალიზაციას რაც საქართველოში ზოგადად, პრესამ და განსაკუთრებით, ტელევიზიებმა განიცადეს, რომლებიც სწორედ ამ პროპაგანდით არიან დაკავებულნი, ყველაფერი ცხადი ხდება. ეს არა თავისუფალი, არამედ პარტიული პრესაა, რომელიც პარტიულ პროპაგანდას ეწევა. დიახ, მოდით ვთქვათ: ვინ არის მაქარაშვილი? იგი რუსული პოლიტიკური ორგანიზაციის სპიკერი გახლდათ, რომელიც რუსეთში ძალიან მჭიდროდაა დაკავშირებული გორჩაკოვის ფონდთან. გორჩაკოვის ფონდი არის დიპლომატიიდან გასული კაგებეს თანამშრომლების ნავთსაყუდელი. რუსეთში როცა დიპლომატიურ საქმიანობას ამთავრებენ, ვთქვათ, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, გორჩაკოვის ფონდში მიდიან. ასე, რომ კარგად ვიცი ვინც არის მაქარაშვილი, ვინ დგას მის უკან და ვისი „პალადოკით“ დადის. დიახ, აბსოლუტურად ნათელია, რა ძალები დგას მათ უკან ისევე, როგორც მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერის — გრიგოლ ვაშაძის უკან. იგი რუსეთის უშიშროების თანამშრომელი გახლავთ. ადრე, საბჭოთა კავშირის კაგებეს თანამშრომელი იყო. მოკლედ რომ ვთქვა: ცნობილი ჩეკისტია. მან თავი იმით გაითქვა, რომ სახელოვნებო ჯგუფებს საზღვარგარეთ დაჰყვებოდა და მათ შესახებ კაგებეში დანოსებს წერდა. თუ გავითვალისწინებთ, რას წარმოადგენს დღეს ეს სრულიად მარგინალიზებული მიხეილ სააკაშვილი თავის ჩეკისტ ბიძასთან — თემურ ალასანიასთან ერთად, აბსოლუტურად, ნათელია თუ ვის ინტერესებში შედის საქართველოს, სახელმწიფო ინსტიტუტების დაკნინება და ბიძინა ივანიშვილის სახელის შელახვა. ეს გახლავთ რუსეთი. ანუ, ერთადერთი ქვეყანა, რომელიც დაინტერესებულია საქართველოს და იმ ძალების დაკნინებით რომლის ცალსახა, გამოკვეთილი ლიდერი ბიძინა ივანიშვილია, ეს არის რუსეთი. ამიტომ, ეს ყველაფერი რუსეთის ინტერესებს ემსახურება. რუსეთის, საქართველოს და სხვა ბევრი ქვეყნის დაზვერვამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რათა ბიძინა ივანიშვილის ბიოგრაფიაში რაიმე ისეთი აღმოეჩინათ, რითაც მის დისკრედიტაციას შეძლებდნენ, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს. ბიძინა ივანიშვილის კურსი არის მკვეთრად დასავლური, ნატოსთან ინტეგრაცია ისეთ დონეზეა, როგორიც არასდროს ყოფილა და ასევე, აშშ-ს მხრიდან ასეთი მხარდაჭერა საქართველოს ჯერ არ ჰქონია. ეს ყველაფერი ივანიშვილის დამსახურება გახლავთ. აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად, ნათელია რომელი ქვეყნის ინტერესებში შედის დესტრუქციის მცდელობა. ასე, რომ ყველა ვინც თქვენ დაასახელეთ: სააკაშვილი, ბოკერია და მათ ზემოდან დამატებული იმ საერთაშორისო ინსტიტუტების წარმომადგენლები ჩვენს ქვეყანაში რუსულ ინტერესებს ანხორციელებენ.



ყოველდღე ვხდებით შემდეგი რამის მოწმე: მარგინალური პოლიტიკური ჯგუფიდან, რომელშიც 32 პარტია გაერთიანდა და შავი სიის მაგიდას უსხედან, სახელმწიფო ინსტიტუტების, ხელისუფლების, ქართული საზოგადოების მიზანმიმართული დისკრედიტაცია ხორციელდება. ამ მაგიდის გარშემო, სადაც ყველანი შავ სიას უსხედან, ქართველი ხალხის სახელით კეთდება განცხადებები, რაც შეურაცხყოფს საზოგადოებას და ქართული სახელმწიფოს დაკნინებას ემსახურება.









დიახ, მაქარაშვილისნაირი ტიპები, ასევე, მამუკა გამყრელიძე, გრიგოლ ვაშაძე, სააკაშვილი, ბიძამისი — თემურ ალასანია და სხვები, რა თქმა უნდა, რუსული აგენტურაა. ყველაზე ვერ ვიტყვი, თუმცა, რასაც ისინი სჩადიან, საქართველოსთვის იმდენად დამაკნინებელია, რომ მნიშვნელობა აღარ აქვს რა ერქმევათ და რა მოტივებით აკეთებენ ყოველივეს.

**სააკაშვილი საქართველოს ტახტზე იგორ გიორგაძემ და ივანოვმა დასვეს. მიშა რუსეთს ძალიან წარმატებულად ემსახურა. იმაზე მეტი რაც რუსეთმა საქართველოსგან სააკაშვილის მმართველობის პერიოდში მიიღო,** ძნელი წარმოსადგენია იმიტომ, რომ აღარც ცხინვალი და აღარც აფხაზეთი, პრაქტიკულად, რუსეთის ჰეგემონიის ქვეშ აღარ იყო და სააკაშვილმა უკან დაუბრუნა. დიახ, თანაც, არამარტო დააბრუნა, არამედ დააკანონა.

**— რით ახსნით, რომ ამ ტრაგიკომედიას დასავლეთი შორიდან უყურებს. რუსულ აგენტურას რატომ გვაჩეჩებენ ძალით?**

— დასავლეთი, ჩემო კარგო, ძალიან ფართო ცნებაა. რას ნიშნავს დასავლეთი? — იგი საკმაოდ ჭრელია და იქ, ძალიან სერიოზული პრობლემებია, მიმდინარეობს დეზინტეგრაციის პროცესი. ახლა, ბრექსიტმა, რეალურად, ევროკავშირიც კი სერიოზულად შეარყია.

**— ბატონო გოგა, როგორ ფიქრობთ, ჩვენმა საზოგადოებამ ბოლომდე იცის რა დანაშაულობები დგას რეალურად იმ 9 წლიანი რეჟიმის უკან?**

— დიახ, ფაქტები ბევრია, რის საქმის კურსშიც საზოგადოება ნამდვილად არ არის. კი ყველამ იცის ბუტა რობაქიძის, გირგვლიანის, ცოცხების საქმე, მაგრამ ამის გარდა უამრავი დანაშაულია ჩადენილი. როცა ფილმს ვიღებდი და ციხეში, მორგში ვიყავი, ვერ შევძელი სცენის გადაღება, რაც რეალურად ახალკაცს დამართეს. იგი 24 საათი მორგში გვამზე იყო მიბმული.. საზოგადოებას ვერ ვაკადრე ამ სცენის გამეორება. ამის გარდა, გავიხსენოთ მეგრელი კაცის სასოწარკვეთილი კივილი, რომელსაც ვიაგრა დაალევინეს. ამ ყველაფერს ახალაიები აკეთებდნენ. ციხეში მთვრალები მიდიოდნენ, „ზილინას“ თამაშობდნენ, პატიმრებს მუხლებზე აყენებდნენ და ზემოდან აშარდავდნენ — აგრილებდნენ. დიახ, ამის შესახებ საზოგადოებამ უნდა გაიგოს. დიდი წიგნი უნდა გამოიცეს მათ მიერ ჩადენილი შემზარავი დანაშაულების შესახებ და ყველა, ვინც ამას ჩადიოდა, სახალხოდ უნდა იქნას მხილებული.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

(ფრაგმენტი წერილიდან. „სგ“ N 1, 2020 წ.)





# რატომ არ იჭერენ ექსპრეზიდენტ სააკაშვილს, მაშინ როცა მსოფლიოში უამრავი პრეზიდენტია გასამართლებული და დაჭერილი?

დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ერთიანობის გარანტი, ასევე, მოსახლეობის ნდობით აღჭურვილი პირი — ასე განისაზღვრება ქვეყნის პირველი პირი — პრეზიდენტი კონსტიტუციით. თუმცა, ისტორიიდან არაერთი მაგალითია, რომელიც გვიჩვენებს, რომ ეს განსაზღვრება რიგ შემთხვევაში სრულიად საპირისპიროდ სრულდება. მოძიებული ინფორმაციით ბევრად ძლიერმა სახელმწიფოებმა დამნაშავე პრეზიდენტები გაასამართლეს, მათი ნაწილი დღემდე იხდის სასჯელს.

გაგაცნობთ პრეზიდენტებს, რომლებიც თავიანთი ქვეყნებიდან გაიქცნენ, გასამართლდნენ და დღემდე ციხის ბინადარნი არიან.

**ფულხენსიო ბატისტა** 1940 წლიდან მართავდა კუბას. იგი



ხალხს არ უყვარდა და ამიტომ ძალაუფლება სახელმწიფო გადატრიალების გზით მოიპოვა. მისი პრეზიდენტობის პერიოდში ოპოზიციონერებს დაუნდობლად უსწორდებოდნენ — ხდებოდა შეკვეთილი მკვლელობები, რაც საკმაოდ გავრცელებული იყო. ასევე, ხელისუფლებისთვის არასასურველი პირები უგზო-უკვლოდ უჩინარდებოდნენ და ა.შ. როდესაც რევოლუციონერები ფიდელ კასტროსა და ერნესტო ჩე გევარას ხელმძღვანელობით კუბის დედაქალაქ ჰავანაში შევიდნენ, ბატისტამ ქვეყნის ოქროს მარაგის დიდი ნაწილი გაიტაცა და დომინიკის რესპუბლიკაში გაიქცა, იქედან კი — პორტუგალიაში. ბატისტა 1973 წელს ესპანეთში გარდაიცვალა.

ჰაიტის პრეზიდენტი და დიქტატორი **ჟან-კლოდ დიუვალიე** ქვეყანას 1971–1986 წლებში მართავდა. მას მეტსახელად „ბეიბი დოკი“ ერქვა. 1986 წელს ქვეყანაში მასობრივი ანტისახელისუფლებო გამოსვლები დაიწყო, რომლის ჩახშობის მიუხედავად პრეზიდენტი ქვეყნიდან გაიქცა და თავი საფრანგეთს შეაფარა. 2011 წელს მან საკუთარი ხალხის წინაშე მოინანია დანაშაული, სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ მეორე დღესვე „ბეიბი დოკს“ კორუფციასა და სახელმწიფო სახსრების მითვისებაში დასდეს ბრალი და დააპატიმრეს. ჟან-კლოდ დუვალიე 2014 წელს პორტო-ო-პრენსეში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა.

ასევე, კორუმპირებული იყო ტუნისის პრეზიდენტი **ზინ ელ-აბიდინ ბენ ალი**. იგი ე.წ. არაბული გაზაფხულის პირველი მსხვერპლია. ქვეყანაში ცხოვრების მაღალი დონის მიუხედავად, რომელსაც ბენ-ალიმ 1987 წელს, დანიშვნიდან მიაღწია, მისი ავტორიტარიზმის შედეგად ქვეყანაში საშინელი კორუფცია გაჩნდა. 2010 წელს ტუნისელმა ხილით მოვაჭრემ ხელისუფლების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად თავი დაიწვა. დაიწყო მასობრივი გამოსვლები, ე.წ. ჟასმინების რევოლუცია. საპროტესტო გამოსვლების გამო, 2011 წლის 14 იანვარს მან ქვეყანა დატოვა და საუდის არაბეთში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო. გავრცელებული ინფორმაციით, 1,5 ტონა ოქრო გაიტაცა. 2012 წელს ტუნისის სამხედრო ტრიბუნალმა მას დემონსტრაციების დაშლისას მომიტინგეების მკვლელობის ბრალდებით, დაუსწრებლად სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

„ტიტების რევოლუციამ“ ხელისუფლებაში **კურმანბეკ ბაკიევი** მოიყვანა. მიუხედავად ამისა, 2010 წლის 7–15 აპრილს რევოლუციური მოვლენების გამო ქვეყნის დატოვება მასაც მოუწია. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, იგი ბელარუსში გაიქცა, სადაც უკვე მოქალაქეობის მიღებაც მოასწრო.

გამეფებული ნეპოტიზმი, გაუქ-



მებული კონსტიტუცია, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება — ეს ფილიპინების პრეზიდენტის **ფერდინანდ მარკოსის** „დამსახურებებია“. მისი მმართველობის დროს ფილიპინებზე პიროვნების კულტი და ნეპოტიზმი იყო გამეფებული. 1972 წელს მან კონსტიტუცია გააუქმა და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. მისი ყველა პოლიტიკური ოპონენტი ციხეში აღმოჩნდა, ხოლო 1986 წლის არჩევნებზე მორიგი გაყალბებული გამარჯვების შემდეგ, ფილიპინებზე სამხედრო გადატრიალება მოხდა. ფერდინანდ მარკოსი ჯერ ჰავაის კუნძულებზე, შემდეგ კი აშშ-ში გაიქცა და 1988 წელს გარდაიცვალა.

ისრაელის ყოფილი პრეზიდენტი **მოშე კაცავი** კი, რომელიც დღემდე გაუპატიურებისთვის იხდიდა სასჯელს, გავრცელებული ინფორმაციით, ვადაზე ადრე გათავისუფლდა. მოშე კაცავი პრეზიდენტის პოსტიდან სექსუალური სკანდალის გამო გადადგა. 2010 წლის 10 დეკემბერს იგი თელავივის სასამართლომ გაუპატიურების ორ შემთხვევაში და გარყვნილი ქმედების შემთხვევაში დამნაშავედ ცნო და შვიდ წლიანი პატიმრობა შეუფარდა.

მსოფლიოში ყველაზე მხცოვანი პრეზიდენტი **რობერტ მუგაბე** კი შინაპატიმრობაში იმყოფება. 2002



წელს მუგაბემ ქვეყნიდან ოთხი ათასზე მეტი თეთრკანიანი ფერმერი თავისუფლების აღკვეთის მუქარით გააძევა და შედეგად, ევროკავშირის სანქციები „დაიმსახურა“. იგი ქვეყნის პრეზიდენტად ექვსჯერ იქნა არჩეული. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ერთპარტიული მმართველობა შემოიღო. თუმცა, 2008 წლის არჩევნებში, მუგაბემ პირველ ტურში, დემოკრატიული მოძრაობის ლიდერთან მორგან ცვინგირაისთან წააგო, მაგრამ ხელისუფლების ზეწოლით, ცვინგირაიმ მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი თქვა. შინაპატიმრობაში მყოფ ზიმბაბვეს პრეზიდენტს ახლა ადამიანის უფლებათა დარღვევასა და დიქტატურაში ადანაშაულებენ.

პერუს პრეზიდენტი **ალბერტო ფუხიმორი** კი თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი დიქტატორია. მან ჩამოაყალიბა საკონცენტრაციო ბანაკები და „სიკვდილის ესკადრონები“, რომლებსაც „რეჟიმის მტრების“ წინააღმდეგ იყენებდა. 2000 წელს წინასაარჩევნო კამპანიისას მასზე რამდენიმე კომპრომატი



გავრცელდა. მათ შორის, ყველაზე რეზონანსული 200 ათასი პერუელის სტერილიზაციაა. ფუხიმორი იაპონიაში გაიქცა, თუმცა 2006 წელს იგი პერუში დააბრუნეს და გაასამართლეს. მიუსაჯეს 7,5 წელი და დააკისრეს 15 მლნ დოლარის ჯარიმა, რომელიც გადაიხადა.

არანაკლები სისასტიკით გამოირჩეოდა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი **ჟან-ბედელ ბოკასა**, რომელიც შემდგომში იმპერატორი გახდა. მას მეოცე საუკუნის ყველაზე ექსცენტრიულ და არანორმალურ დიქტატორს უწოდებენ. მის სამეფო გვირგვინს 2000 ბრილიანტი ამშვენებდა მაშინ, როცა ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მშიერი და ღარიბი იყო. ბოკასას მმართველობის პერიოდში განსხვავებული აზრის მქონე პირების წამება და დაპატიმრება ჩვეულებრივი ამბავი იყო. უფრო მეტიც, ბოკასას ბრალს კანიბალიზმშიც კი სდებდნენ. 1979 წელს სკოლის მოსწავლეების დახვრეტის შემდეგ, მან ევროპის მხარდაჭერა დაკარგა, რამაც ტახტი ბუნებრივად დააკარგვინა. ამის შემდეგ, ჟან-ბედელ ბოკასა საფრანგეთში გაიქცა, შემდეგ კი მოულოდნელად დაბრუნდა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, რათა დაემტკიცებინა თავისი უდანაშაულობა, მაგრამ გაასამართლეს და სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს, თუმცა შეიწყალეს და სასჯელად სამუდამო პატიმრობა აკმარეს. მოგვიანებით კი ამნისტიის საფუძველზე გათავისუფლდა. გარდაიცვალა 1996 წლის 3 ნოემბერს.

კანიბალიზმში იყო ეჭვმიტანილი კიდევ ერთი სასტიკი მმართველი **იდი ამინ დადა**. იგი „მისი აღმატებულება მუდმივი პრეზიდენტის“ სახელითაა ცნობილი, რომელიც 1971–1979 წლებში მოღვაწეობდა. დადა აფრიკის ყველაზე სასტიკ, მკაცრ და ტოტალური რეჟიმის დამაარსებლადაა ცნობილი, რომლის მმართველობას 300-დან 500 ათას ადამიანამდე შეეწირა, მათ შორის, 2000 ადამიანი თავად გამოასალმა სიცოცხლეს. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იდი ამინმა ჩამოაყალიბა „ფულის გამომუშავების“ უსასტიკესი და არაადამიანური მეთოდები. მის „ჯალათებს“ შეეძლოთ დაეკავებინათ და მოეკლათ კიდეც ნებისმიერი ადამიანი, მათ ამისთვის არავინ დასჯიდა. ყველაზე



ცინიკური ის არის, რომ ოჯახები რომლებიც იდი ამინის რეჟიმმა ისედაც გააუბედურა, საკუთარი ნაწამები და მოკლული ახლობლების ცხედრების გამოსასყიდად ვალდებულნი იყვნენ გადაეხადათ სპეციალურად ამ მიზნისთვის დაწესებული თანხები. „უგანდელი ჯოჯოხეთის მოციქულმა“ — ასე უწოდებდნენ იდი ამინს, მმართველობის პერიოდში ხუთი ცოლი გამოიცვალა. როცა მეოთხე ცოლი მოიყვანა, წინა სამი ცოლი სადისტურად დახოცა, ერთმა მუსულმანმა ცოლმა თავს გაქცევით უშველა. იგი „კანიბალი“ გახლდათ და მისი აქტიური პოლიტიკური მოწინააღმდეგეების შეჭმაში ედებოდა ბრალი. იდი ამინი საბოლოოდ ქვეყნიდან საუდის არაბეთში გაიქცა და იქვე აღესრულა.

ქვეყნიდან გაქცეულთა შორისაა უკრაინის პრეზიდენტი **ვიქტორ იანუკოვიჩი**. მან ქვეყანა 2013 წელს დაწყებული ანტისახელისუფლებო აქციების გამო დატოვა. კიევის დამოუკიდებლობის მოედანზე მომიტინგეების დახვრეტის შემდეგ, რასაც 100-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა, იანუკოვიჩი და მისი გუნდის უდიდესი ნაწილი რუსეთში გადაბარგდნენ.

დაბოლოს, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**, რომელმაც საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ ქვეყანა დატოვა და აშშ-ში გაემგზავრა, სადაც ლექციების კურსს კითხულობდა. იგი ქვეყნიდან გაქცეული პრეზიდენტების ათეულშია შესული. 2014 წლის გაზაფხულზე, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სააკაშვილი მოწმის სახით დაკითხვაზე რამდენჯერმე დაიბარა, თუმცა, სააკაშვილი საგამოძიებო ორგანოში არცერთხელ არ გამოცხადებულა. 28 ივლისს მთავარმა პროკურატურამ სააკაშვილი ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა. პროკურატურის ინფორმაციით, საქმე ეხებოდა 2007 წლის 7 ნოემბერს მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრასა და ბადრი პატარკაციშვილის ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდებას. მიხეილ სააკაშვილთან ერთად ბრალდების შესახებ დადგენილებები გამოიტანეს ასევე, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის, ყოფილი გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილის, თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილისა და თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას მიმართ.

თუმცა, იგი ქვეყნიდან ქვეყანაში უპასპორტოდ, თავისუფლად დაპარპაშობს და საქართველოს მერე ახლა უკრაინის „დასალაგებლად“ ეშხადება. გაუგებარია, რატომ არ შეიძლება საქართველოს პირველი პირი იმ დანაშაულობებისთვის გაასამართლო, რომელთა ჩამონათვალის სია ბევრად მეტია, ვიდრე ზემონახსენები პრეზიდენტებისა.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ქართული პოლიტიკის დიდი ღამე და დილა, რომლის გათენებას ჯერ კიდევ ველოდებით



***გვესაუბრება საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტი, პოლიტოლოგი ირაკლი გოგავა:***

სააკაშვილის ცხრაწლიანი მმართველობა, რამდენიმე ეტაპად შეგვიძლია დავყოთ, პირველი, მან მოინდომა გარკვეული რეფორმების ჩატარება, ასე ვთქვათ, მოდერნიზაცია, რომლის შესრულებაც ფასადების ღებვით დაიწყო. პირველ ნაბიჯს, მეორე, სიღრმისეული პროცესი მოყვა, სააკაშვილმა სამართალდამცავი სტრუქტურებისგან სადამსჯელო ორგანიზაციების ქსელი ჩამოაყალიბა. მიზანი იყო ერთი – კორუფციით, შავი ბიზნესით ან თუნდაც კანონიერად ნაშოვნი ფული ამოღებულიყო მოსახლეობისგან. საქართველოსთვის ასტრონომიული თანხებია, რაც მათ ამოიღეს, თანაც ეს ხდებოდა ნახევრად ოფიციალურად, საპროცესო გარიგებების მეშვეობით. 2011 წლის ჩათვლით, ქვეყანაში აღძრული იყო 900.000-მდე სს-ის საქმე, რომელთა უმეტესობა საპროცესო გარიგებით დასრულდა. გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა 1% თუ იქნებოდა, დანარჩენ შემთხვევებში დაკავებულები გაამტყუნეს და მათ აბსოლუტურ უმრავლესობასთან საპროცესო გარიგება გააფორმეს. მე 5.000 ლარზე ნაკლები საპროცესო თანხა არ გამიგია, ამ თანხასაც რაღაცა წვრილმანი დანაშაულისთვის ახდევინებდნენ, თორემ ეკონომიკური დანაშაულობებზე პირადად ვიცნობ ხალხს, ვისაც 12 და 16 მილიონი გადაახდევინეს, ორი და სამი მილიონი ვინც გადაიხადა, ასეთი ათასობით ადამიანია. საბოლოო ჯამში, მოცემული პერიოდისთვის დაახლოებით 16-დან 18 მილიარდამდე ლარია ამოღებული მოსახლეობისგან. ეს ფული წავიდა ნაციონალების შექმნილ სამ თუ ოთხ ე.წ. საქველმოქმედო ორგანიზაციაში. დღეს ეს ორგანიზაციები აღარ არსებობს, დაიშალა და მათი მთელი დოკუმენტაცია დაკარგულია, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოება არ იცნობს. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ბიზნესმენებს (მეც ვიცნობ ასეთ ხალხს) პირდაპირ ოფშორულ ანგარიშებზე არიცხვინებდნენ ფულს, მათ „დირექტივებს“ აძლევდნენ რამდენი უნდა ჩაერიცხათ კონკრეტული ფონდის ანგარიშზე, რამდენი ნაწილი ოფშორულ ანგარიშზე და ა.შ. დღეს გვიკვირს ეკონომიკა ვერ ვითარდებაო, მოსახლეობისგან ამხელა ფულს რომ ამოიღებ, ეკონომიკა როგორ განვითარდება? ნაციონალები თავს რომ იწონებენ, კორუფცია მოვსპეთო, კორუფციის აღმოფხვრა კი არა, მისი ერთ ხელში კონსოლიდაცია მოხდა. ყველა მსხვილ იმპორტიორს „სტავკა“ ჰქონდა დაწესებული, ზოგს 10%-ს სთხოვდნენ, ზოგს 20%-ს. ჩემს ნაცნობ უკრაინელ ბიზნესმენს ხორბლის შემოტანა უნდოდა, ერთ-ერთ მინისტრთან გადაამისამართეს, რომელმაც მას 20%-ის დატოვება მოსთხოვა. ამ დროს ხორბლის მარჟა 7–8, მაქსიმუმ 10%-ია, ბუნებრივია, არ შედგა ეს გარიგება, მაგრამ ეს ფაქტიც ხომ მეტყველებს, სააკაშვილის მინისტრები რა პირობებს უყენებდნენ ბიზნესმენებს, მათ შორის უცხოელებს.



სააკაშვილის მიერ განხორციელებულ რეფორმებსაც რომ დავაკვირდეთ, ზედაპირულია, რადგან არ მიგვიღია უკეთესი სამართალდამცავი სისტემა, პირიქით, პოლიტიკური პოლიციად ჩამოყალიბდა, რომელიც ძალადობდა ხალხზე. მისაღები გამოცდების პროცესი გამოსწორდა, მაგრამ განათლების დონეს არაფერი დასტყობია, მსოფლიოში ერთ-ერთი მაჩანჩალები ვართ ამ კუთხით. იუსტიციის სახლში ერთი სარკმლის პრინციპი კი დაამკვიდრეს, მაგრამ მოსახლეობას თანხის გადახდა უწევს მისაღებ დოკუმენტაციაში, არადა იუსტიციის სამინისტრო ბიუჯეტიდან, ანუ ხალხის ჯიბიდან ფინანსდება. ხალხს, ფაქტობრივად ორჯერ ახდევინებდნენ ფულს, ჯერ ბიუჯეტში გადასახადების სახით, ხოლო შემდგომ ხსენებულ უწყებაში. მოკლედ, ისე მოეწყეს სისტემა, რომ ხალხს ორჯერ აფინანსებინებდნენ საბიუჯეტო სფეროს. საბოლოო ჯამში, სააკაშვილმა ცხრა წლის განმავლობაში, „შავად“ და „თეთრად“ 200 მილიარდი ლარის ფარგლებში თანხა განკარგა. ეს თანხა ფაქტობრივად გაფლანგულია, რადგან ათიოდე იუსტიციის სახლს, სიღნაღისა და ბათუმის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციას, თბილისი-გორის 50 კილომეტრიანი ავტობანის, პრეზიდენტისა და პარლამენტის სასახლეები მშენებლობას 2–3 მილიარდი ლარი ეყოფოდა, თანაც ხსენებული სასახლეების აშენება, ნამდვილად არ იყო ქვეყნისთვის პრიორიტეტი. დანარჩენი ფული სად წავიდა, ეს სააკაშვილსა და ნაცმოძრაობას უნდა ვკითხოთ, რომლებიც თავს იწონებდნენ და იწონებენ, ბიუჯეტი რამდენჯერმე გავზარდეთო. 10.000-ლარიანი პრემიები, 20%-იანი „ატკატები“ და ელიტური კორუფცია იყო მათი ცხოვრების წესი, მათ გამო, ქვეყანამ უზარმაზარი რესურსები და დრო დაკარგა, ხალხის ფულს უაზრო ე.წ. პროექტებში ყრიდნენ.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24
„სგ“ N 35, 2017 წ.

# მიხეილ შეტანილი – უკრაინისთვის შეტენილი ახალი ბომბი

მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში შევიდა, თუმცა კი არ შევიდა, კუნთმაგარმა ტიპებმა იღლიაში ამოიჩარეს და შეიტანეს.

შეიტანეს როგორც მუთაქა, როგორც თივით გატენილი ტომარა, პოლონეთიდან აქეთ, უკრაინაში, გადმოათრიეს, მერე იღლიაში ამოიჩარეს და ლვოვისკენ წააცუნცულეს.

ამ სპეცოპერაციის მერე სააკაშვილს თამამად შეიძლება ვუწოდოთ მიხეილ შეტანილი.

უკრაინა-პოლონეთის საზღვართან კვირას მომხდარი ამბავი საქართველოში ერთხელ უკვე მოხდა 2003 წლის ნოემბერში.

სააკაშვილი მაშინაც ზუსტად ასე შეიტანეს საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში და საქართველოს ცხრა წლით შეტენეს.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენი წლით შეტენეს უკრაინას მიხეილ შეტანილი და ამ შეტენვის შედეგად კიდევ რამდენი ახალი უბედურება ელის ისედაც ბედკრულ უკრაინას, რომელსაც ისიც კი ვერ გაურკვევია, რა მიზნით და რისთვის სტენიან საეჭვო ბიოგრაფიის და საეჭვო რეპუტაციის ამდენ უცხოტომელს...

უკრაინას დიდი სინანულისა და დიდი იმედგაცრუების ჟამი წინ აქვს, მანამდე კი იმაზე ღირს დაფიქრება, რატომ ჰგავდა ასე ტყუპისცალივით 2017 წლის 10 სექტემბრის სცენარი საქართველოში 2003 წლის 23 ნოემბრის ვარდების რევოლუციის სახელით განხორციელებულ სცენარს?

**ერთი წალენჯიხა არ ეწერა მიხეილ შეტანილის ავტობუსს და კობა ნარჩემაშვილის ნაცვლად ახლა ვიღაც მსუქან გენერალს „ეკაჩავებოდა“ სააკაშვილი, თორემ სხვა ყველაფერი იგივე იყო „ისტორიული“ ფრაზით – ხელი ჩასწიე“-თი დაწყებული და მუქარის სიტყვებით დამთავრებული.**

იმ პირდაპირ რეპორტაჟს თუ მივადევნებდით თვალს, რომელსაც სააკაშვილის ჯიბის ტელევიზია „რუსთავი-2“ შემთხვევის ადგილიდან თუ ადგილებიდან გადმოსცემდა, ცხადი იყო, რომ სააკაშვილის უკრაინაში შესვლის სპეცოპერაციას, რომლის დეტალები რამდენჯერმე შეიცვალა, სააკაშვილი კი არა, რაღაც სხვა ძალები უწევდნენ კოორდინაციას, რომლებიც, როგორც პოლონეთში მოძრავ სააკაშვილის კოლონას, ასევე უკრაინის ტერიტორიაზე დაბანაკებულ ე.წ. სააკაშვილის მხარდამჭერთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი მასის გადაადგილებას მაღალპროფესიონალურ დონეზე არეგულირებდა.



გასაოცარი იყო, იმდენად სინქრონულად და ორგანიზებულად ხდებოდა ეს...

რა ხდება ამ დაულაგებელ და აბურდულ-დაბურდულ მსოფლიოში, ვინ გეგმავს, ვინ აფინანსებს, ვინ მართავს ამ მასშტაბურ სპეცოპერაციებს და ვინ დაათრევს აღმა-დაღმა ამ ნახევრად შეშლილ სააკაშვილს მის ბანდასთან ერთად ამა თუ იმ ქვეყანაში არეულობის, დესტაბილიზაციის, სახელმწიფო გადატრიალებების მოსამზადებლად და სისრულეში მოსაყვანად?

ისეთი რა საერთაშორისო მაფია მოქმედებს ერთდროულად ყველა კონტინენტზე, რომელიც დემოკრატიის საახელით, სამართლიანობის სახელით, ადამიანის უფლებათა დაცვის სახელით ათას უმსგავსობას ჩადის?

**„საერთო გაზეთი“**
„სგ“ N 33, 2017 წ.



მეუღლე მანანა თოლორდავა, შვილები ალუდა და ეკა ფიცხელაურები ოჯახებით, ძმა დათო ფიცხელაური ოჯახით, დები ოჯახებით — კობა და ელისო არაბულები, ავთო და ნაზი არაბულები, მარინე წიკლაური შვილებით, მეუღლის ძმა და ძმისშვილები — ნუგზარ, როსტომ და თეა თოლორდავები.

დიდი მწუხარებით იუწყებიან

**შიო (კოლია) ფიცხელაურის**

გარდაცვალებას. გამოსვენება ხუთშაბათს, 14:00 საათზე
მისამართი: ქ. თბილისი; მ. მესხის N78

**საერთო გაზეთი**
**მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა**

**გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით**
**+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74**

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983